სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 2 მაისი 2008 №098 (3322) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოძმანაშვილის ლიცენზიას დოპინგის სუნი აუვიდა!

ჭიდაობის ფედერაცია: გაუგებრობაა, მაგრამ ვაითუ დადასტურდა...

ერთი თვეც არ არის გასული, რაც ყველამ ერთად გავიხარეთ ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავის, დავით მოძმანაშვილის ევროპის ჩემპიონობითა და პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებით.

ახლა კი, ყველაფერი იქით კენ მიდის, რომ ჩემპიონის ოქროს მედალიც და ოლიმპიადის საგზურიც უკან დაგვრჩება, ხოლო მოძმანაშვილს ერთი ხანობა ხალიჩაზე გასვლა...

ჩემპიონის ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა, რაც დოპინგის გამოყენებას ნიშნავს, ხოლო როგორ ებრძვიან ასეთ რამეებს სპორტში, კარგად მოგეხსენებათ.

მოძმანაშვილის დოპინგზე ჩავარდნაც შემთხვევით შევიტყვეთ. არა, ბოლოს მაინც გამჟღავნდებოდა, მაგრამ ეს საქმე მიჩუმათებული იყო და რომ არა მავანი აზერბაიჯანული ვებგვერდის ინფორმაცია, დღესაც არ გვეცოდინებოდა.

ხელმეორე სინჯამდე ინფორმაცია კონფედენციალურიაო და აზერბაიჯანულმა ვებგვერდმა ეთიკის წესი დაარღვიაო, გვეუბნებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოდით, სხვის ეთიკურობაზე მეტად, საკუთარი უთავობა ვინაღვლოთ.

ისიც ფაქტია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ძალიან იშვიათად მომხდარა, პირველი ტესტის პასუხი მცდარი გამომდგარიყოს და ხელმეორე ტესტს დაემტკიცებინოს სპორტსმენის უდანაშაულობა.

თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ის კი გვგონია, თავად მოჭიდავე უბრალო უნდა იყოს ამ სკანდალში — დალია ის, რაც მიაწოდეს...

ჩვენი მეგობარი ხორვატები ბრანკო ივანკოვიჩს ურჩევენ

საქართველო ძალიან კარგია!



ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალურ კანდიდატად რომ ითვლება, ახალი ამბავი არ არის.

ირანის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამყვან მწვრთნელს ზაგრებში რომ დავურეკეთ, არც გაკვირვებია და ენაწყლიანი მოსაუბრეც გამოდგა...

— პროფესიონალი და ამბიციური მწვრთნელი ვარ. ზურგს საკმაო გამოცდილება მიმაგრებს და კარგად ვიცი ახალი შემოთავაზების ფასი. ჩემთვის საქართველოში მუშაობა გამოწვევაა და მსურს, ეს გამოწვევა სასურველ შედეგად გარდავსახო.

ინტერვიუ ბრანკო ივანკოვიჩთან მესამე გვერდზე

ჩემპიონატის დიდ შაბათამდე გავარდნა-დარჩენის მატჩებია

ცხინვალი რკინიგზის წინააღმდეგ

„დინამომ" ჩემპიონობა, შესაძლოა, უპრინციპულეს მეტოქე „ზესტაფონთან" მატჩში გაინაღდოს

ფეხბურთშიც და პოლიტიკაშიც: გაზპრომმა გერმანია გადაყლაპა

ზენიტი 4:0 ბაიერნი

კალაძე და მადონინა კვირას მილანში ლიგის ფინალია

კვირას იტალიაში და მთლიანად ევროპული მასშტაბითაც დიდი მატჩია — „მადონინა“ — „მილანი“ „ინტერს“ მასპინძლობს. სატურნირო თვალსაზრისით, ამათი შეხვედრა არაფრის გამრკვევი რომც არ იყოს, დიდი მილანელები ერთურთს მაინც არ ინდობენ და სულ კოჭების ჭახა-ჭუხი ისმის ხოლმე და, მით უმეტეს, ახლა იქნება ისეთი ამბავი, დედა შვილს არ აიყვანს...

„ინტერი“ სკუდეტომდე სულ ერთ ნაბიჯშია, მაგრამ კვირას თუ წააგო, ეს ტიტული სათუო გაუხდება, „რომა“ ხომ რობერტო მანჩინის შეგირდებს კუდში მისდევს.

„მილანს“ ამ სეზონში შედარებით მოკრძალებული მიზანი აქვს. ჩვენიანი კახა კალაძის გუნდი ჯერჯერობით უჩვეულო მეხუთე ადგილზეა და მეოთხეობას, ანუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს „ფიორენტინას“ ეცილება. სხვაობა ორი ქულაა და „მილანს“ თუ ლიგის საგზური სურს, „ინტერი“ არ უნდა გაახაროს.

„ცხადია, ეს იქნება უპრინციპულესი მატჩი. „ინტერთან“ მომავალ შეხვედრას ჩემპიონთა ლიგის წინა ფინალს შევადარებდი, როცა „ლივერპულს“ 2:1 მოვუგეთ. „მილანი“-სთვის“ ახლაც ჰაერივით საჭიროა მოგება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა მომავალ ევროსეზონშიც ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშოთ“ — თქვა „მილანის“ მცველმა კახა კალაძემ, რითაც ამ „მადონინას“ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

სათქმელია, რომ ბოლო სამი მილანური დერბი „ინტერმა“ მოიგო, ხოლო ამ წარუმატებელი მატჩების წინ „მილანმა“ ყველაზე საძულველი მეტოქე სწორედ კახა კალაძის გოლით დაამარცხა.

ვნახოთ, რა იქნება ამ კვირას, სხვა მილანელებთან ერთად „მადონინასთვის“ ქართველი მცველიც გულმოდგინედ ემზადება.

კოტა ინასარიძე

ირლანდიამ ტრაპი წარადგინა

ირლანდიის ნაკრების იტალიელი მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ოფიციალურად გუშინ წარადგინეს.

68 წლის ტრაპატონი „სამყურების“ თავკაცად რამდენიმე თვის წინ დაინიშნა სტივ სტონტონის ნაცვლად.

ტრაპის ხელმძღვანელობით ირლანდიელები პირველ ამხანაგურ მატჩს 24 მაისს დუბლინში სერბეთთან ჩაატარებენ, 29 მაისს კი ინგლისურ ფულემში კოლუმბიას შეხვდებიან.

შეგახსენებთ: ირლანდია ჩვენი მომავალი მეტოქეა.

კახა შალამბერიძე

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

გოგიტა ლობჟანიძე ტრაგიკული ბედის კაცი იყო და ტრაგიკულადაც დაიღუპა...

ოცდაათისაც არ იყო, მეულლე რომ გარდაეცვალა და მცირეწლოვანი ვაჟის აღზრდა მარტოს უხდებოდა.

ოჯახურმა ტრაგედიამ ეს თბილი და კეთილი კაცი გულჩათხრობილად და სიტყვაძუნწად აქცია.

თავისი საქმე კი საუკეთესოდ იცოდა და თბილისის „დინამოს“ ექიმი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მუშაობდა.

ერთი თვის წინ ავარიაში მოჰყვა და გადარჩა, მეორე ავარია კი საბედისწერო გამოდგა...

გოგიტა 34 წლისა იყო...

სარბიელელები

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“
ღრმა მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა გუნდის ექიმი
გოგიტა ლობჟანიძე
და თანაგრძნობას უცხადებს
განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 2 და 3 მაისს,
გამოსვენება 4 მაისს 15 საათზე.
მისამართი: გურამიშვილის გამზირი 72ა

საქართველოს პროფესიული
ფეხბურთის ლიგა ღრმა
მწუხარებით იუწყება, რომ
ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს
ეროვნული ნაკრებისა და
თბილისის „დინამოს“ ფიზიოთერაპევტი
გოგიტა ლობჟანიძე
და თანაგრძნობას უცხადებს
განსვენებულის ოჯახს



სარბიელელები მწუხარებით ვიუწყებით, რომ ტრაგიკულად
დაიღუპა თბილისის „დინამოს“ და საქართველოს
ეროვნული ნაკრების ფიზიოთერაპევტი
გოგიტა ლობჟანიძე
და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ეროვნული ნაკრების
ფეხბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს
ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ფიზიოთერაპევტის
გოგიტა ლობჟანიძის
ტრაგიკულად დაღუპვას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

სამი ტურიც და, მე-19 ეროვნული ჩემპიონატი ისტორიას ჩაბარდება. უმაღლეს ლიგაში ახალციხის „მესხეთს“ დებიუტანტის კვალობაზე ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია — ყველა თამაშში ბოლომდე იბრძვის და უმაღლესში ადგილიც, კარგა ხანია, გაინაღდა. გუშინწინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი თავისი თანაშემწეებით ახალციხეს ეწვია და „მესხეთი“ ავარჯიშა. გუშინ კი ჩვენ „მესხეთის“ მთავარ მწვრთნელ კობა თედიაშვილს შევეხმიანეთ და თავიდან სწორედ ამ წვრთნაზე ვკითხეთ...

არ დავთმობთ!

— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა შტაბი — პეტარ სეგრტი, გელა შეყილაძე, გიორგი დევდარიანი, ლევან ხომერიკი, სერგო კოტრიკაძე და ასლან ბალაძე ოთხშაბათს ახალციხეში გვეწვივნენ და საკმაოდ საინტერესო წვრთნაც ჩაატარეს. ყველა კმაყოფილი დარჩა. საერთოდ, ასეთი ვარჯიშების ჩატარება მისასალმებელია — ფეხბურთელებისთვის ნაკრების მწვრთნელებთან ახლო კონტაქტი მნიშვნელოვანია. ეს მათთვის დიდი სტიმულია. კარგი წამოწყებაა, რაიონებში რომ ჩამოდიან და წვრთნებს ატარებენ. რეგიონებს დღეს დიდი ყურადღება სჭირდებათ. ასეთი ვარჯიშები თუ წელიწადში რამდენჯერმე მოეწყობა, მწვრთნელ-ფეხბურთელები ბევრ სიახლეს შევიტყობთ, რაც ქართულ ფეხბურთს აუცილებლად წაადგება.

— კეთილი. რამდენიმე ტურიც და, ჩემპიონატი დასრულდება. როგორ შეაფასებთ „მესხეთის“ გამოსვლას სადებიუტო სეზონში?

— ენა არ მომიბრუნდება, რამე საპრეტენზიო ვთქვა. ჩვენი გარჯით ხელმძღვანელობაც კმაყოფილია... „მესხეთი“ უმაღლესში პირველად თამაშობს და, მგონი, ცუდი შთაბეჭდილება არ დაგვიტოვებია, ყველა თამაშში ბოლომდე ვიბრძვიან და დარჩენილ ტურებშიც არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ ცხრილში წინ ვერ წავიწევთ, უმოტივაციოდ მაინც არ ვართ — გვინდა, მეექვსე ადგილი შევინარჩუნოთ.

— უმაღლესლიგელ გუნდს პირველად წვრთნით და რა განსხვავება დაინახეთ უმაღლესსა და პირველ ლიგას შორის?

— პირველ ლიგაში ხუთი წელი ვიმუშავე და გამოცდილებაც დამიგროვდა, მაგრამ უმაღლესთან შედარებაც არ შეიძლება — აქ გაცილებით მაღალი დონეა.

— მომავალ სეზონში „მესხეთი“ გაძლიერდება?

— ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმც ისეთი გაქანების გუნდი მაინც გვეყოლება, როგორც დღეს აა.

— ადრე ითქვა, რომ ახალციხის სტადიონის რეკონსტრუქცია იგეგმება და ამ მხრივ ახალი ხომ არაფერია?

— ახლაც მიდის საუბარი, იგეგმება ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგებაც, მაგრამ კონკრეტულად როდის დაიწყება სამუშაოები, ჯერ არ ვიცით.

ნუკრი ლოლაძე

UEFA CUP — უეფას თასი 2007-2008

ნახევარფინალი. საშასუხო მატჩები. ფუხელ

ზენიტი (რუსეთი) 4:0 ბაიერნი (გერმანია) (1:1)
1:0 პოგრებნიაკი (4), 2:0 ზირიანოვი (39), 3:0 ფაიზულინი (53), 4:0 პოგრებნიაკი (73)
ფიორენტინა (იტალია) 0:0 დ.დ. (2:4პ) რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)

ინგლისი
კონფერენსლიგა. პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
ექსეტერი 1:2 ტორკი

გერმანია
სამხრეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური
აალენი 2:1 ელვერსბერგი

დანია
თასის ფინალი
ბრონდბიუ 3:2 ესბიერგი

ჩეხეთი
თასის 1/2 ფინალი. I მატჩი
ბრნო 2:2 ლიბერეცი

სლოვაკეთი
თასის ფინალი
არტმედია 1:0 ტრნავა

ჰოლანდია
საჩემპიონთალიგო პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩი
ჰერენვეინი 1:2 აიაქსი
სუპერთასი პლეი ოფი
1/2 ფინალი. I მატჩები
უტრეხტი 2:2 გრონინგენი
როდა 0:1 ნაიმეგენი
გადასასვლელი პლეი ოფი
1/4 ფინალი. I მატჩები
დენ ჰაგი 1:0 ვენლო
ზვოლე 0:1 დენ ბოსხი
ჰელმონდი 2:3 გრაფშხაპი
მაასტრიხტი 1:0 ვალვაიკი

შვეიცარია
ჩემპიონლიგა
გადადებული მატჩი
ბოსუ 3:3 შო დე ფონი

ივანკოვიჩმა საინფორმაციო ბანკი გახსნა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე რეალური კანდიდატი, ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი ახლა ზაგრები-თბილისის ბილეთს ელის და დღე-დღეზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებათა მომდევნო რაუნდის დასაწყებად ჩამოვა. მისი პირველი ქართული ვიზიტი მცირეხნიანი, თუმცა საბოლოო სიტყვის სათქმელად, ჩაიბარებს თუ არა ჩვენს ეროვნულ გუნდს, საკმარისი იქნება. სადღეისოდ კი, ვითარებას ისე ეტყობა, ფედერაციასა და ივანკოვიჩს ერთმანეთთან თანამშრომლობის პირი უჩანთ და, კაცმა რომ თქვას, ეს ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს. ივანკოვიჩის საქმე თუ გამოვიდა, ის მეორე ხორვატი იქნება, რომელიც საქართველოს ნაკრებს გაუძღვება. აქამდე, გეხსომებათ, ჩვენებმა ორი მატჩი ივანკოვიჩის თვისტომ ივო შუშაკის ხელმძღვანელობითაც ჩაატარეს. ესენი კი ერთმანეთის კარგა ხნის მეგობრები არიან და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრებშიც ერთად მუშაობდნენ — ორივე მწვრთნელ მიროსლავ ბლაჟევიჩის თანაშემწე იყო. ხოლო ახლა მათ ძველი მეგობრობა გაიხსენეს და თბილისში წამოსვლის წინ ერთმა მეორეს აქაური ამბები გამოჰკითხა. ბრანკო ივანკოვიჩს გუშინ ზაგრებში შევეხმიანეთ და შუშაკთან მისი საუბრის გარდა ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატისგან სხვა საინტერესოც შევიტყვეთ...

ხორვატმა საქართველო უკვე წარმოიდგინა

— ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ყველაზე აქტიურად თქვენს კანდიდატურას განიხილავს...

— სასიამოვნოა ამის მოსმენა. დიახ, ჩემსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს შორის მართლაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა და იმედია, ასეც გაგრძელდება. ჩემთვის მართლაც საინტერესოა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წინადადება.

— ეს სიტყვები ისე გავიგოთ, რომ თანახმა ხართ ჩვენთან მუშაობაზე?

— პროფესიონალი და ამბიციური მწვრთნელი ვარ. ზურგს საკმაო გამოცდილება მიმაგრებს და კარგად ვიცი ახალი შემოთავაზების ფასი. ჩემთვის საქართველოში მუშაობა გამოწვევაა და მსურს, ეს გამოწვევა სასურველ შედეგად გარდავახო.

— საქართველოზე რა იცით, როგორი წარმოდგენა გაქვთ ჩვენს ქვეყანაზე?

— მოლაპარაკებების დაწყებისთანავე ვცდილობ, მაქსიმალური ინფორმაცია მივიღო საქართველოზე. ნოდარ ახალკაცისგან საკმაოდ ბევრი შევიტყვე, ვესაუბრე ჩემს მეგობრებს, ივო შუშაკსა და პეტარ სერგტს. მათ ეს ქვეყანა ისე დამახასიათეს, უკვე გარკვეული სიმპათიები გამიჩნდა.

— თავის დროზე თქვენ სწორედ ივო შუშაკთან ერთად მუშაობდით...

— დიახ. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ერთად ვეხმარებოდით მიროსლავ ბლაჟევიჩს და გეხსომებათ, ხორვატიის ნაკრებმა მაშინ როგორი ფურორიც მოახდინა. ივოზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი, ის ძლიერი სპეციალისტია.

— იმ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი თქვენი გზები გაიყო და სამუშაოდ გერმანიაში წახვედით...

— დიახ, მომდევნო სეზონშივე „ჰანოვერი“ ჩავიბარე. შემდეგ რამდენიმე წელიწადი ირანში ვიყავი, მათი ეროვნული გუნდი კორეა-იაპონიის მსოფლიოს თასზე ვათამაშე. მერე კი სამშობლოში დავბრუნდი და მუშაობა ზაგრების „დინამოში“ გავაგრძელე.

— ირანი ახსენეთ და, ალბათ იცით, იმ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად ცოტა ხნის წინ დანიშნულ ხავიერ კლემენტეს როგორი პრობლემებიც შეექმნა...

— დიახ, ვიცი და მიმაჩნია, რომ ნაკრების მწვრთნელმა იმ ქვეყანაში უნდა იცხოვროს, სადაც მუშაობს. თუ ადგილობრივი ჩემპიონატის მატჩებს არ დაესწარი, არ დააკვირდი ფეხბურთელებს და არ შეისწავლე მათი მენტალური მხარე, სხვანაირად კარგი შედეგი არ მიიღწევა. ჩემი შეხედულებით, მწვრთნელი მაქსიმალურად მეტი დროით სწორედ იმ ქვეყანაში უნდა იყოს, სადაც სამსახური აქვს.

— რაკი ასე საუბრობთ, ალბათ კლაუს ტოპმიოლერის ქართულ ამბებზე და მის აქაურ პრობლემებზეც იცით...

— ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ რა პრობლემებიც ტოპმიოლერს ჰქონდა, შესაძლოა, იგივე მეც შემექმნას, ან სხვანაირად მოხდეს და მე შემაწუხოს იმ პრობლემამ, რაც ტოპმიოლერს არ შექმნია. ყველაფერი ინდივიდუალურია და წინასწარ ვერავინ იტყვის, რამ შეიძლება, შეუშალოს ხელი და რამ — არა. საამისო მაგალითის მოყვანა შეუძლებელია.

— ზოგადად ქართულ ფეხბურთზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— თბილისის „დინამოს“ შესახებ ივო შუშაკისგან ვიცი. ვიცი, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია, უცხოეთში მოთამაშე ქართველების თამაშიც ხშირად მინახავს. მოკლედ, ქართულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა მაქვს და თუ ფედერაციასთან მოლაპარაკებები წარმატებით დამთავრდება, ცხადია, მერე საქმეში დეტალურად და ბოლომდე საფუძვლიანად ჩავიხედები.

— თბილისში ჩამოსვლას როდის აპირებთ?

— უახლოეს 4-5 დღეში. მოლაპარაკებები სწორედ თბილისში გაგრძელდება და ვნახოთ, რა შედეგით დასრულდება. ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ბილეთს ველი და როგორც კი მივიღებ, მაშინვე გამოვფრინდები.

ძოგა ინასარიძე

პეტარ სეგრტმა ბოდბეში უსახლკარო ბავშვი იშვილა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი რომ თავისი უშუალო მოვალეობით არ კმაყოფილდება, ეს არახალია. გუშინწინ ის ახალციხეში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ გუნდს წვრთნა ჩაუტარა, ხოლო გუშინ ქველმოქმედებისთვისაც მოიცალა.

გურჯაანის რაიონში, ზემო ბოდბეში მდებარე ბავშვთა სახლში გუშინ პეტარ სეგრტი თავის მეგობრებთან ერთად მივიდა და იქაურ უპატრონო ბავშვებს საჩვენებელი წვრთნა ხომ ჩაუტარა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით საჩუქრებიც გადასცა.

ზემო ბოდბის ბავშვთა სახლს არაერთი დამხმარე ჰყავს და მათ შორის სეგრტის მეგობარი, დოქტორი ჰაინც ლიერი, რომელიც გერმანიის საქველმოქმედო მედია-ჰოლდინგის, HELP US TO LIVE-ის წარმომადგენელია. ეს ორგანიზაცია ბოდბის ბავშვთა სახლს სისტემატურად ეხმარება და როცა სეგრტმა ამის შესახებ გაიგო, თავადაც გამოთქვა დახმარების სურვილი.

ჰოდა, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცის ინიციატივით, გუშინ ზემო ბოდბეში ჰაინც ლიერთან ერთად ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ და, რა თქმა უნდა, თავად დოქტორ ლიერმაც ბავშვებს საჩუქრები ჩაუტანეს. ამავდროულად, ახალგაზრდული ნაკრების ხორვატმა თავკაცმა პატარებს საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა და ბოლოს ახალნაჩუქარი ბურთებით თამაშიც გაჩაღდა.

პეტარ სეგრტმა საქველმოქმედოსთან ერთად სასელექციო საქმიანობაც გააჩაღა. იქაურ 11 წლის ომარ ლეკიაშვილს თვალი დაადგა და საჩვენებელი მატჩის შემდეგ აღუთქვა, რომ უახლოეს მომავალში თბილისში იახლებს და თუ ისევე წარმოაჩენს თავს, როგორც ეს გუშინ მოედანზე გააკეთა, ყურადღებას არ მოაკლებს.

დოქტორ ლიერის, პეტარ სეგრტისა და ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელთა სტუმრობით ბოდბელი ბავშვები აღფრთოვანებულნი დარჩნენ და ისინი იმ პირობით გამოუშვეს კახეთიდან, რომ უახლოეს მომავალში კვლავ გაიხარებენ მათი სტუმრობით.

ირაკლი პერტაია

ზემო ბოდბიდან

ჰაინც ლიერი და პეტარ სეგრტი

ირაკლი პერტაიას ფოტო

საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 24 ტური

პირველი წრის „ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“ ჩაიშალა

ბაფრი ჯეთილაძის ფოტო

ახალციხე. 2 მაისი. 17 საათი. მ. იაძე

მესხეთი — ბათუმი

მსაჯები: ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი, ი. ურუშაძე

თბილისი. 2 მაისი. 17 საათი. მ. მესხი

ლოკომოტივი — სპარტაკი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ლ. მიქელაძე, ა. კოკაია, ზვ. ასკაროლლი

ზუგდიდი. 2 მაისი. 17 საათი. ბ. თუთბერიძე

მგლები — სიონი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, ი. მაჩიტიძე, კ. ბერაძე, ნ. რუსიშვილი

გორი. 2 მაისი. 17 საათი. თ. ბურჯანაძე

დილა — მერანი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ს. სპიცინი, გ. ყრუაშვილი, თ. გვანცელაძე

ზესტაფონი. 3 მაისი. 17 საათი. ცენტრალური

ზესტაფონი — დინამო

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ბ. ჭიჭინაძე, ლ. თოდრია, ჯ. ბუიშვილი

მცხეთა. 3 მაისი. 17 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — ამერი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ხუციშვილი, ხ. გაგნიძე

რუსთავი. 3 მაისი. 17 საათი. ფოლადი

ოლიმპი — ბორჯომი

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ა. კრიჭაშვილი

პარასკევს ქვევით, შაბათს ზევით

დარჩენილი სამი ტურიდან ყველაზე საინტერესო და დამაინტრიგებელი რომელიაო, რომ იკითხოთ, პასუხი მაშინვე მზად იქნება — დამდეგი, ოცდამესამე. ნახეთ, რა ორი თამაშია შაბათს და საწყენია, რომ გულშემატკივრები ორივეს ვერ ნახავენ, თუმც ასეც იქნებოდა: ყველგან ასეა ბოლო ტურებში და საქართველო რა გამონაკლისია — პრინციპული და სატურნირო ვითარებით ერთმანეთს გადაჯაჭვული შეხვედრები ერთდროულად იწყება. მოკლედ, შაბათს ჩემპიონი ოფიციალურად შეიძლება გაირკვეს, ოღონდ ამის შანსი შედარებით მცირეა: „დინამომ“ ზესტაფონში უნდა იმარჯვოს, „ვიტ ჯორჯიამ“ კი მცხეთაში „ამერთან“ წააგოს...

ზესტაფონი — დინამო

„ზესტაფონი“ ძალიან ხშირად ამწარებს ხოლმე „დინამოს“. ბოლოს თბილისელებმა იმერლებთან შარშან დეკემბერში იმარჯვეს (2:0).

ფეროელები ხვალაც ფავორიტები არიან თუნდაც იმიტომ, რომ შინ თამაშობენ და, სულ მცირე, 5 000 გულშემატკივრის მხარდაჭერის იმედი აქვთ. ინტრიგა გაცილებით მეტი იქნებოდა, თემურ მახარაძის გუნდს აღდგომისწინა დღეს გორში ცხინვალის „სპარტაკთან“ ორი ქულა რომ არ დაეტოვებინა, ახლა კი, ჩემპიონობის რა შანსი აქვთ ზესტაფონელებს? „დინამოს“ რომც მოუგონ, მერე თბილისელებმა კიდევ ერთხელ უნდა წააგონ ორ ტურში და ამასთან, „ვიტ ჯორჯიამ“, სულ მცირე, ორი ქულა უნდა დაკარგოს.

...მაგრამ სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ იმერლები თავს არ შეაკლავენ დინამოელებს. ჯერ ერთი, ქვეყნის უტიტულოვანეს კლუბს ეთამაშებიან და მეორეც, მეორე ადგილზე გასვლის შანსი აქვთ, ეს კი უეფას თასის საგზურს უნაღდებს, თუნდაც თასი ვერ აიღოს.

დუშან უჭრინი საღ-სალამათ შეადგენლობას ჩაიყვანს ფეროს ქალაქში, მასპინძლებს კი ედიკ საჯაია დააკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო.

კიდევ ერთი, „იონას“ ფაქტორი... ზურაბ იონანიძეს არაერთხელ გაუმწარებია „დინამო“ და ალბათ მასზე გაორმაგებული თვალ-ყური იქნება უჭრინის მცველებისგან.

ისე, არაა გამორიცხული, მახარაძემ საქართველოს ჩემპიონატის ყველა დროის მთავარმეგოლე შეცვლაზე შეიყვანოს — ბექა გოცირიძე გაცილებით კარგ ფორმაშია, პლუს, ნიკა გელაშვილიც გამოჯანმრთელდა და წინა ტურში გოლიც გაიტანა. გაბონელი ეტიენ ბიტოოც არ დაგვავიწყდეს...

საკვანძო შემადგენლობები:

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, შ. ღონღაძე, აკუასაგა, კესანი, ნ. კვასხვაძე, რ. ონიანი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, იონანიძე (ან გელაშვილი).

დინამო: ოვონო, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი (ვ. კაშია), გველესიანი, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ოდიკაძე, ხუციშვილი, გ. მერებაშვილი, აკირემი.

არც ის დაგვავიწყდეს, რომ 7 მაისს ზესტაფონში კიდევ ერთხელ ჩავა „დინამო“, ამჯერად თასის სპასუხო ნახევარფინალში სათამაშოდ.

ვიტ ჯორჯია — ამერი

ისევე, როგორც „დინამოსთვის“ „ზესტაფონი“, „ამერისთვისაც“ უხერხული მეტოქეა „ვიტ ჯორჯია“ — გლდანელებმა მხოლოდ ერთხელ სძლიეს ვეტერინარებს, ამ გუნდების საპირველწრეო შეხვედრა კი გეხსომებათ — ამერელთა კარში პენალტი დაინიშნა, რასაც „ყვითლების“ აღშფოთება, ვითარების უკიდურესად დაძაბვა და მსაჯ ლევან კვარაცხელიას გაუგებარი გადაწყვეტილებები მოჰყვა და კლუბის პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიას ჩარევით, თამაში აღარ გაგრძელდა.

ესეც დამატებით ინტრიგას სძენს სახვალიო მატჩს...

„ვიტ ჯორჯია“ უძლიერესი შემადგენლობით იქნება, გიორგი ჩიხრაძის გუნდს კი ნახევარდაცვის ლიდერი გიორგი დეკანოსიძე და მცველი გიორგი მემარნიშვილი არ ეყოლება — დისკვალიფიკაცია აქვთ.

მცხეთური მატჩიდან ოთხი დღის თავზე გლდანელებს ბორჯომში აქვთ სათამაშო სათასო ნახევარფინალი — ცალი ფეხით უკვე ფინალში არიან და ვეჭვობთ, ჩემპიონატს იმხელა ყურადღებას აქცევდნენ, რამდენსაც თასს. ნესტორ მუმლაძის გუნდს კი ჩემპიონობის შანსი კიდევ აქვს, გაარჩინა, რას იზამს „დინამო“ ჯერ ზესტაფონში, მერე კი შინ — „ლოკომოტივთან“.

ისე, ვიტელებიც და „ამერიც“ ორგანიზებულ, კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობენ, ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან და სხვანაირ მატჩს არც 3 მაისს ველოდებით.

ახლა კი მოკლედ სხვა მატჩებზეც ვთქვათ: შაბათიდან დავიწყეთ და ამ დღეს „ოლიმპი“ — „ბორჯომიცაა“. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდმა ბოლო თამაშები მოიგო და მეოთხე ადგილზე გასვლის შანსი გაუჩნდა. მართალია, რუსთაველები მეხუთეზე არიან, მაგრამ მხოლოდ ქულას აგებენ „ამერთან“, რომელსაც გაცილებით ძნელი კალენდარი დარჩა.

დღეს კი ოთხი მატჩია, სულ ცხრილის შუა და ქვედა ზონაში მყოფები ხვდებიან და არანაკლებ ჯახებს ველოდებით. „მესხეთის“ ხელშია „ბათუმის“ ბედი — ზღვისპირელებმა ახალციხეშიც თუ ვერ მოიგეს, ხელი უნდა ჩაიქნიონ უმაღლეს ლიგაზე. ერთი კია, ახალციხელები გაჭირვებულთათვის ხელის გაწვდომაში შემჩნეულნი არ არიან, რაც ქართულ რეალობაში იშვიათი, მაგრამ სასიამოვნო ხილია.

ბოლოხანს მოყოჩაღებული „ლოკომოტივი“ ძნელად დასამარცხებელ „სპარტაკს“ მასპინძლობს და ცხრილიდანაც ჩანს, რომ რისკის თამაშია. ვაკელებმა თუ მოიგეს, არანარი საფრთხე აღარ დაემუქრებათ, თუმც არც ფრე უნდა იყოს მათთვის მიუღებელი. აი, „სპარტაკი“ კი გამარჯვებას კბილებით ეცდება.

რატომ ეცდება და, მის ზურგს უკან მყოფი „მერანი“ უკვე გავარდნილ „დილას“ სტუმრობს და, დიდი შანსია, სამი ქულაც აიღოს — სწორედ ეს სამი ქულაა „სპარტაკსა“ და „მერანს“ შორის სხვაობა. ისე, თამაშის ხარისხით ცხინვალელები სჯობნიან დავით ეჯიბიშვილის გუნდს. მარტო ის რად ღირს, რომ ჟორჟიკაშვილის გუნდმა წლეულს „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზესტაფონს“ ასწაპნა ოქროს ქულები.

ტურის ყველაზე ნაკლებად ინტრიგული თამაში კი ზუგდიდშია.: „მგლებიც“ და „სიონიც“ უმაღლეს ლიგაში დარჩნენ და ახლა ერთმანეთს თუ გაუცვლიან ადგილს.

ილია ნანოგაშვილი

დინამო	23	20	1	2	58:13	61
ვიტ ჯორჯია	23	18	3	2	43:10	57
ზესტაფონი	23	17	4	2	53:14	55
ამერი	23	14	2	7	46:24	44
ოლიმპი	23	13	4	6	23:16	43
მესხეთი	23	9	5	9	24:28	32
ბორჯომი	23	9	4	10	28:29	31
მგლები	23	8	3	12	21:29	27
სიონი	23	7	5	11	24:32	26
ლოკომოტივი	23	6	5	12	16:26	23
სპარტაკი	23	4	7	12	10:25	19
მერანი	23	5	1	17	12:46	16
ბათუმი	23	4	3	16	13:44	15
დილა	23	1	5	17	10:47	8

დისკვალიფიცირებულნი:

„ამერი“: გიორგი დეკანოსიძე, გიორგი მემარნიშვილი;

„სიონი“: გიორგი ოქროპირიძე, დავით ასლანაძე (მწვრთნელი);

„დილა“: ქრისტეფორე შატაკიშვილი, ჯაბა ბერიანიძე, ალბერტ საყვარელიძე;

„ზესტაფონი“: ედიკ საჯაია.

გადრე კეთილაძის ფოტო

მალხაზ ასათიანი: თამაში მინდა! თუ გამომიშვეს, შოთასთან ჩამოვალ

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანს ალბათ ხვალ დაუბრუნდება. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ჩვენიანი ტრავმის შემდეგ უკვე რა ხანია, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ემზადება, მაგრამ თამაშით ჯერ არ უთამაშია. ასათიანი, თუ გახსოვთ, საქართველო — ლატვიის თებერვლის ამხანაგური მატჩისას დაშავდა. მას ფეხში ჩაარტყეს, თუმცა თამაში მაინც გააგრძელა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ტრავმა სერიოზული იყო და მკურნალობა სჭირდებოდა. ასათიანს კლუბის სეზონისწინა სამზადისის პირველი ეტაპიც ამიტომ გაუცდა, თუმცა შემდგომ ნელის ტკივილის გამო ჩვენიანს სხვა შეკრების გამოტოვებაც მოუხდა. ამასობაში კი რუსეთის ჩემპიონატიც დაიწყო და ასათიანი უთამაშებელი დარჩა...

— რა ხანია, აღარაფერი მაწუხებს, შემიძლია ვთქვა, რომ გუნდთან ერთად გაორმაგებული ენერგიით ვვარჯიშობ, მაგრამ ვერ ვთამაშობ, უფრო სწორად, არ მათამაშებენ. მწვრთნელი ჯერჯერობით სხვა ფეხბურთელებს უფრო ენდობა, თუმცა ჩემი დროც მალე მოვა — უთამაშებლობის მიზეზებზე მწვრთნელთან არ მისაუბრია, ისე კი, რატომღაც მგონია, რომ მომავალ ტურში „ლუჩ-ენერგიასთან“ ალბათ უკვე მათამაშებს და ვეცდები, ეს შანსი გამოვიყენო და ისევ დავიმკვიდრო ძირითად შემადგენლობაში ადგილი. სასურველი ფორმის აღსადგენად თამაში მჭირდება, მხოლოდ ვარჯიშით კი ძნელია ჩემი ამჟამინდელი შესაძლებლობების შეფასება. „ლოკომოტივში“ ამ სეზონის დასაწყისში მთლიანად შეიცვალა მწვრთნელთა შტაბი, უთამაშებლობის მიუხედავად მათთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს და მათიც კარგად მესმის — „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატი რიგიანად დაიწყო და მწვრთნელები წარმატებული შემადგენლობის შეცვლას ერიდებიან. ჩვენი მიზანი, როგორც ყოველთვის, ამ სეზონშიც ჩემპიონობაა და მწვრთნელებს სურთ, სტაბილური შემადგენლობა, რაც შეიძლება, დიდხანს შეინარჩუნონ. თუმცა ერთხელაც გეტყვით, რომ მომავალ მატჩში ალბათ მოედანს დავუბრუნდები. წლეულს ჩემპიონობაც უფრო ძნელი იქნება — ახლა პირველობის მაძიებელი ბევრი გუნდია და, ცხადია, მატჩებიც გაცილებით რთული და დაძაბული გამოდის. ყოველი ქულის მოპოვებას მთელი ენერგია უნდა შეალიო.

ტრავმაზე, უთამაშებლობასა და „ლოკომოტივის“ ამბების შემდეგ მალხაზ ასათიანს შოთა არველაძის 3 ივნისს გამოსამშვიდობებელ მატჩზეც ვკითხეთ და აი, რა გვიპასუხა:

— შოთამ ამ თამაშზე უკვე დამპატიჟა და, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, მის პატივსაცემად ჩამოვიდე. ყველანაირად ვეცდები, რომ შოთას გამოსამშვიდობებელ მატჩს არ დავაკლდე, თუმცა ჯერ ზუსტად არ ვიცი, კლუბი გამათავისუფლებს თუ არა. იმედი კი მაქვს, „ლოკომოტივი“ გაითვალისწინებს ჩემს თხოვნას და პრობლემას არ შემიქმნის.

კოტა ინასარიძე

ქართველების კაუნასმა ეკრანასი დაამსხვრია

ნუკრი მანჩხავა, გივი კვარაცხელიას და აკაკი ხუბუტიას „კაუნასს“ ლიტვის თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი „ეკრანასთან“ შინ 1:0 მოგებული ჰქონდა, სტუმრად კი 5:1 გაანადგურა.

ამ შეხვედრაში კვარაცხელიას ტრავმის გამო არ უთამაშია, მანჩხავა 56-ე წუთზე შევიდა მინდორზე, ხუბუტიამ კი შეუცვლელად იბურთავა.

„კაუნასი“ ფინალში ვილნიუსის „ვეტრას“ შეხვდება.

ილია ნანოგაფშვილი

ზაფხულის მიზანი ფრაის ძირითადში

დავით თარგამაძე: ჩემმა ქართველობამ ხელი შემიწყო

გადრე კეთილაძის ფოტო

„ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდის გამორჩეულ ფეხბურთელ დავით თარგამაძეს ამ ზაფხულს გადამწყვეტი პერიოდი აქვს — დიდი შანსია, „ფრაის“ ძირითად გუნდში აიყვანონ. თუ არა და, დროებით „ფრაიბურგ II-ში“ ითამაშებს, რაკიღა 19-წლამდელებისთვის უკვე გადაზრდილი იქნება და იქ ბურთაობის უფლება არ მიეცემა. თარგამაძე შარშან შემოდგომაზე გამართულ 19-წლამდელთა ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც უდავოდ საუკეთესო იყო ქართველთაგან, რის შემდეგაც პეტარ სეგრტმა ახალგაზრდულ ნაკრებში აიყვანა. სისწრაფე, ტექნიკა და დარტყმა — ესაა მისი კოზირი, თუმც თარგამაძეზე ჯერ ვერ იტყვი, ჩამოყალიბებული ფეხბურთელიაო, ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს...

— სამწუხაროდ, ტრავმამ ერთი თვე გამაცდენინა, კოჭი მქონდა გატეხილი და ათიოდ დღის წინ დავიწყე ვარჯიში. კვირას „შტუტგარტის“ 19-წლამდელებთან ვითამაშე კიდეც და არაფერი მტკენია. მოკლედ, სრულად მოვმჯობინდი — გვითხრა დავითმა, როცა გუშინ ფრაიბურგში დავუკავშირდით.

— როგორც ვიცით, კოჭი ვარჯიშზე თანაგუნდელთან შეჯახებისას გაიტეხე...

— ასეა. საბედნიეროდ, ოპერაცია არ დამჭირდა. არადა, სერიოზული ტრავმა ჩანდა. ეს საქართველო — ლატვიის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის წინ დამემართა და ვეღარ ჩამოვედი თბილისში.

— „შტუტგარტთან“ 3:3 ითამაშეთ და თქვენს ზონაში პირველ ადგილზე გადასვლის შანსი ხელიდან გაუშვით...

— არადა, 2:0-ს ვიგებდით, მერე კი სულაც ვაგებდით და ბოლო წუთზე გავათანაბრეთ. წინ კიდევ ოთხი ტურია, „ბაიერნს“ 2 ქულით ვუსწრებთ და პირველზე თუ არა, მეორეზეც რომ გავიდეთ, სხვა ზონაში პირველ-მეორეზე გასულებთან მოგვიწევს პლეი ოფში თამაში.

— ანუ, შესაძლოა, ლევან ყენიას „შალკეს“ შეხვდეთ, რომელიც სხვა ზონის ბუნდესლიგაშია?

— დიახ. ამის შანსი არის.

— საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში მარცხენა გარემარბად თამაშობდი. მანდ?

— არა, აქ მარჯვნივ ვთამაშობ.

— ფიზიკურად არ გიჭირს? გერმანელები, რომ უფრო ძალისხმიერ ფეხბურთს თამაშობენ...

— თავიდან ცოტა გამიჭირდა, ახლა კი ყველაფერი რიგზეა. მარტო ფიზიკურ ძალაშიც ხომ არაა საქმე...

— შენს ნაკლზეც გვითხარი — როგორ ფიქრობ, რა გაქვს გასაუმჯობესებელი ყველაზე მეტად?

— ყველაფერზე ვმუშაობ. ხშირად ვვარჯიშობ ტრენაჟორებზე, კარში დარტყმაზე...

— უცხოდ ხომ არ გრძნობ თავს? რამდენად მეგობრული გუნდია „ფრაიბურგ U19“?

— ძალიან მეგობრული გუნდია. საკმაოდ ბევრი უცხოელი გვყავს, მათ შორის, თურქი რაჰმან საიოდუგრუ, რომელიც ჩვენი ბომბარდირია. ერთად ვცხოვრობთ და დავმეგობრდით. ამას გარდა, ოთარ ხიზანეიშვილთანაც ყოველდღიური კონტაქტი მაქვს, ძალიან მეხმარება რჩევებით.

— როგორ ფიქრობ, ადვილად რომ შეეგუე ფრაიბურგს, იმის გამოც ხომ არა, რომ „ფრაიბურგში“ ბევრ ქართველ ფეხბურთელს უთამაშია?

— ალბათ. აქ დიდი პატივს სცემენ ქართველებს, საწყენია, რომ ხიზანეიშვილს არ ათამაშებენ, თუმც ოთარს კარგი სეზონები ჩაუტარებიათ აქ. დღესაც ახსოვთ ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე...

— ეს კარგი, მაგრამ „ფრაიბურგის“ ძირითად გუნდში გადასვლის პერსპექტივაზე რას იტყვი?

— სეზონი რომ დამთავრდება, ჩემი მენეჯერი კლუბის ხელმძღვანელობას დაელაპარაკება. 19-წლამდელების თამაშს მუდმივად ესწრებიან ძირითადი გუნდის მწვრთნელები, თითოეულ ჩვენგანზე აქვთ ინფორმაცია, ვის რისი გაკეთება შეუძლია და ვინ რამდენადაა მზად უფრო მაღალ დონეზე სათამაშოდ. ასე რომ, იმედიანად ვარ. 19-წლამდელების მწვრთნელი კრისტიან სტრაიჩი მუდმივად მამხნევებს, ყველაფერი კარგად იქნებაო.

— ძირითად გუნდში ვარჯიში გიწევს ხოლმე?

— დიახ, კვირაში ერთხელ ან ორჯერ. „ფრაის“ ძირითადი გუნდის მწვრთნელებს სტრაიჩი უწევს ხოლმე რეკომენდაციას, ვინ მიიწვიოს ვარჯიშებზე.

— 3 ივნისს თბილისში შოთა არველაძის გასაცილებელ მატჩშიც მიიღებს მონაწილეობას...

— დიახ. ძალიან მიხარია... იმედია, „ფრაიბურგი“ ხელს არ შემიშლის ჩამოსვლაში. ძალიან გამიხარდა, არჩილ არველაძემ რომ დამირეკა და შოთას გასაცილებელ თამაშზე დამპატიჟა. არც მჯერა, ამდენ ვარსკვლავთან ერთად მეც რომ უნდა ვითამაშო.

ილია ნანოგაფშვილი

ივანიშვილი ფიფას ფინალშია

გადრე კეთილაძის ფოტო

შვეიცარიული „ციურიხის“ 21-წლამდელთა გუნდი ფიფას ეგიდით გამართულ (FIFA YOUTH CUP) თორმეტგუნდა ტურნირის ფინალში გავიდა.

ეს მინი-ტურნირია — გუნდები ორ ოცწუთიან ტაიმს თამაშობენ.

„ციურიხ U21“-მა ფინალში ისე გაინავარდა, ოთხ მატჩში ერთი გოლიც არ გაუშვია: ათენის აეკ-ს, ბრაზილიის „ფლამენგოსა“ და გერმანულ „ჰამბურგს“ 1:0 მოუგო, შვეიცარიულ „ბლუ სტარსს“ კი 4:0 სძლია.

ჯერჯერობით, უცნობია, ვინ შეხვდება ივანიშვილის გუნდს ფინალში.

გიორგიმ ოთხივე მატჩი ჩაატარა და მართალია, გოლი არ გაუტანია, თუმცა ამ შვიდი ბურთიდან სამი მისი პასით გავიდა.

ილია ნანოგაფშვილი

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

ჩელსი 3:2დ.დ.(1:1) ლივერპული (1:1)

1:0 დროგბა (34), 1:1 ტორესი (65), 2:1 ლამპარდი (99პ), 3:1 დროგბა (106), 3:2 ბაბელი (118)

ჩელსი: ჩეხი, ესიენი, კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ჯ. კოული (ანელკა 92), ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი (შევჩენკო 120), დროგბა, კალუ (მალუდა 71)

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი (ჰიიპია 23), რიისე, კუიტი, მასკერანო, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ბენაიუნი (პენანტი 79), ფ. ტორესი (ბაბელი 99)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ხაბი ალონსო (41), არბელოა (100)

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

41 000 მაყურებელი

უმაღლესი პილოტაჟი მაკელელესა და ჯერარდის შესრულებით

გამეორებას ნუ ელი

ფეხბურთი, რომელმაც ტექნიკას გაუსწრო

ფინალი. 21 მაისი. მოსკოვი. „ლუჟნიკი“

მანჩესტერი — ჩელსი

აი, ეს იყო ფეხბურთი — მომენტების გამეორებას რომ ვერ ასწრებდნენ.

ოცი კაცი ბურთს ისე სწრაფად დააჭენებდა, თითქოს მოედნის ცენტრი გაქრა და საჯარიმოები ერთმანეთს მიადგესო.

და დროგბა? როგორ გააძვრინა ორჯერ ბურთი რეინასა და ძელს შორის, გეგონება, ფეხის მაგივრად თოფი აბია და ისვრის.

კიდევ მიკაელ ესიენი — ვითომ მარჯვენა მცველი, რომელმაც „ლივერპულის“ კარში ეგებ უფრო მეტჯერ დაარტყა, ვიდრე თვით დროგბამ.

კინაღამ „ხეტაფე“ — „ბაიერნი“ გამეორდა, მაგრამ „ჩელსი“ არაა „ხეტაფე“, იღბალი კი ავრაამ გრანტის მეგობარია. ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ჩელსის“ გასაყვანად სულაც არ ყოფილა თურმე საჭირო „ერთადერთი და განსაკუთრებული“ ჟოზე მაურინიუ.

„ლივერპული“ ოთხ წელიწადში მესამედ ლამობდა ფინალში გაძვრომას, 2004 წლის იანვრიდან „სტეიმფორდ ბრიჯზე“ გოლი არ გაეტანა და ნავსი გატეხა — ორი გაიტანა, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა.

რაფაელ ბენიტესი: „დროგბას გოლმა თამაში მოკლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გუნდი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მაინც ყოჩაღად გამოიყურებოდა, ბაბელმა კი სხვაობა შეამცირა, მესამის გასატანად დრო აღარ გვეყო. ფერნანდო ტორესი დამატებითი დროის დაწყებისთანავე დაშავდა, იძულებული გავხდი, შემეცვალა და მეორე ფორვარდი ამის გამო ველარ მივახმარე“.

მატჩის წინ ბენიტესმა დროგბას „მყვინთავი“ უწოდა, ფორვარდმა კი ორი გოლით უპასუხა. ესპანელ მწვრთნელს ჰკითხეს, თქვენმა სიტყვებმა ხომ არ გადარიაო, რაზეც რაფამ ჟურნალისტებს მიუგო: „როცა საქმე ფინალში გასვლას ეხება, არა მგონია, რომელიმე ფეხბურთელს მოტივაციისთვის მეტოქე მწვრთნელის კომენტარები სჭირდებოდეს“.

რაც შეეხება თამაშს, ბენიტესმა განაგრძო: „როცა ტორესმა გაათანაბრა, მეგონა, ერთსაც მივაყოლებდით და ფინალში გავიდოდით, რადგან მეორე ტაიმი აშკარად კარგად დავიწყეთ, თუმც აღარ გაგვიმართლა. გუნდმა ბოლომდე გულიანად იბრძოლა და ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, მაგრამ ვფიქრობ, მეტს ვიმსახურებდით, განსაკუთრებით პირველ მატჩში. სულ სხვა იქნებოდა, „ენფილდზე“ 1:0 რომ მოგვეგო.

„ჩელსი“ საუცხოო გუნდია და ფინალიც, დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი გამოვა, ჩვენ კი პრემიერლიგაში კიდევ ორი მატჩი დაგვრჩა და მომავალი სეზონისთვის მზადება უნდა დავიწყოთ. ტომ ჰიკსი (კლუბის თანამფლობელი) გასახდელში ჩამოვიდა, ბიჭები შეაქო, მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ იღბალი გვაკლდა“.

„სეზონის დაწყებიდან ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაზე ვოცნებობთ — ხარობდა დროგბა — მართალია, სეზონის განმავლობაში მწვრთნელი შეგვეცვალა, კლუბს პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მიზანი არ შეცვლილა და აქამდე მოვედით. „მანჩესტერი“ დღეს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო რომაა, სადავო არ უნდა იყოს, თუმც ჩვენც არ ვართ სუსტები. პრემიერლიგაში „მანჩესტერის“ ძლევამ თავდაჯერებულობა შეგვმატა და სწორედ ამიტომ ვითამაშეთ „ლივერპულთან“ ასე კარგად“.

ჯეიმი კარაგერს კი გული დაწყდა, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველ ინგლისურ ფინალში ვერ ითამაშებს: „სამწუხაროა, რომ „ლივერპული“ ვერ გახდა ამ ისტორიული ფინალის მონაწილე, მაგრამ ჩვენ ოთხ სეზონში ფინალში ორჯერ გავედით, ერთხელ მოვიგეთ და ესეც საამაყოა“.

ვაჟა ხუციშვილი

როგორ უნდა აიღონ ინგლისელებმა მოსკოვი?

მოსკოვის „ლუჟნიკი“

უეფა დარწმუნებულია, რომ ინგლისელ ფანებს მოსკოვში ჩასასვლელ ვიზებს არ დაუგვიანებენ. ინგლისელ ფანებს მოსკოვში რა დარჩენიათ? ის, რაც მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი — 21 მაისს „ლუჟნიკებზე“ ჩემპიონთა ლიგის ტიტულისთვის ერთმანეთს ორი ინგლისური გუნდი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ჩელსი“ დაუპირისპირდება.

რამდენადაც დღესვე არის ცნობილი, ინგლისიდან რუსეთში 42 ათასი ადამიანი აპირებს ჩასვლას, ხალხის ასეთ მასას კი გვარიანი ორგანიზებით სჭირდება დახვედრა.

„ჩვენ რუსეთის მხარესთან საბოლოოდ ვათანხმებთ ვიზის გამარტივებით გაცემის წესებს — განუცხადა BBC-ს ჟურნალისტებს უეფას წარმომადგენელმა — ამ საქმეში რუსეთის ხელისუფალნიც კეთილ ნებას ამჟღავნებენ. ვფიქრობთ, პრობლემები მოგვარდება“.

რამდენიმე საათიც არ იყო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფინალში გასვლიდან გასული, რომ კლუბის წარმომადგენლებმა მოსკოვისკენ გამგზავრების სირთულეებსა და მათ მოგვარებაზე დაიწყეს ფიქრი. მანჩესტერელები ფიქრობენ, რომ მათ გულშემატკივრებს რუსეთის დედაქალაქში შეღწევა უფრო გაუიოლდებათ, თუ ისინი თვითმფრინავის ჩარტერული რეისებით, ანუ მოწესრიგებულად, ოფიციალური სიებით აიბარგებიან სამშობლოდან, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ჩვეულებრივი განგრიგით მოუხდებათ რუსეთის ვიზების ცდა და წაგებულებიც დარჩებიან.

გუშინ მოსკოვს „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი დეივიდ გილი უნდა ჩაფრენილიყო და რუსების გარდა იქ უეფას წარმომადგენლებსაც შეხვედროდა.

პაპუნა ძედია

ვედრება



ავრაამ გრანტი

ძალიან ძნელი წუთი იყო: ფრენკ ლამპარდმა პენალტის დაარტყმა გაბედა... და ეს დარტყმა რამდენიმე დღის დაკრძალულ დედას ეძღვნებოდა.

რომ ვერ გაეტანა?...

ძნელი მომენტი იყო, ძალიან ძნელი, მაგრამ „ჩელსის" ნახევარმცველს გამბედაობა ეყო!

როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, ფრენკმა დაამტკიცა, რომ რკინის ნერვები აქვს — 58 წლის პეტ ლამპარდი გასულ კვირას პნევმონიამ იმსხვერპლა.

დამატებითი დრო მიმდინარეობდა, ანგარიში 1:1 იყო, როდესაც ლამპარდმა ორჯერ ღრმად ამოისუნთქა და ბურთი „ლივერპულის" გოლკიპერის, პეპე რეინას კარის მარჯვენა კუთხეში შეჭედა. და გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ გოლმა ლონდონელი „ლურჯების" მიერ ლივერპულელთა 3:2 ძლევაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. „ჩელსის" 21 მაისს, მოსკოვში ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს სათამაშო „მანჩესტერ იუნაიტედთან".

...პენალტი რომ გაიტანა, ლამპარდმა სამგლოვიარო სამკლავური ამოიღო და ემთხვია, შემდეგ კი, სანამ თანაგუნდელები შემოეხვეოდნენ მუხლებზე დაეცა და ცრემლი წასკდა. ყველაზე ემოციური მომენტი კი, ალბათ, მაინც ის იყო, 29 წლის ვარსკვლავმა და ორი შვილის მამამ ხელები რომ აღაპყრო და ორივე ხელის საჩვენებული თითი ზეცისკენ მიმართა.

კიდევ, რაც ტელეეკრანმა ვერ დაიტია, ის გახლდათ, რომ ფრენკ ლემპარდმა კოცნა გაუგზავნა ტრიბუნაზე მჯდომ მამას, 59 წლის ფრენკ ლამპარდ-უფროსს, რომლის გვერდითაც ერთი სკამი... ცარიელი იყო. ეს მისი მეუღლის ადგილი გახლდათ.

„სტემფორდ ბრიჯზე" შეკრებილი საზოგადოება ამაღელვებელი სცენის მოწმე შეიქნა თამაშის წინაც, როდესაც „ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა ლაპმარდს ყვავილები მიართვა და მიუსამძიმრა. ჭირისუფალმა თაიგული ცენრტის ხაზის გასწვრივ დადო, სადაც იდო კიდეც მთელი მატჩის განმავლობაში.

ხოლო როდესაც მატჩის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა, „ჩელსის" მწვრთნელმა ავრაამ გრანტმა ლამპარდი შეცვალა, რის შემდეგაც გასახდელში შესვლამდე „სტემფორდ ბრიჯის" ვარსკვლავი მოედნის ოთხივე კუთხესთან მივიდა და მაყურებელს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. შემდეგ, ცრემლმოწოლილმა ვარსკვლავმა გასახდელს მიაშურა, ერთი ხნის შემდეგ კი მამას შეუერთდა და ეს შეხვედრაც ფრიად ემოციური სურათი გამოდგა.

ავრაამ გრანტი: „ფრენკმა ჩინებულად ითამაშა და, მე თუ მკითხავთ, „ლივერპულის" დამარცხებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი როლიც ითამაშა. ის რთულ პერიოდშია. ყველამ იცის, რასაც განიცდის ეს ადამიანი და ამას დიდი პატივისცემით ვეკიდებით. დღეს მან გუნდისთვის ყველაფერი გაიღო. ნამდვილად არ ვიცი, კიდევ რისი თქმა შეიძლება ამის შესახებ.

ფრენკ ლამპარდის შემახებ აზრი „ჩელსის" ოდინდელ მწვრთნელ გლენ ჰოდლსაც ჰკითხეს:

„ამ პენალტის დარტყმას ძალიან დიდი სიმტკიცე და ძლიერი ნერვები სჭირდებოდა. ამიტომაც იყო ასეთი გამბედაობის ხილვა მეტისმეტად ამაღელვებელი. და თუ გავითვალისწინებთ რა კვირა გადაიტანა ფრენკმა და მისმა ოჯახმა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მან ფანტასტიკურად ითამაშა. თითქოს რა უნდოდა, მიხაელ ბალაკისკენ უნდა მიტრიალებულიყო და ეთქვა, მიდი, შენ დაარტყიო, მაგრამ არა... ლამპარდმა უდიდესი პროფესიონალიზმი გამოამჟღავნა".

„ლივერპულის" ყოფილი მწვრთნელი გრემ სუნესი: „ფრენკის გამო თამაშის წინ ვნერვიულობდი, მაგრამ რომ ვნახე,

ფრენკ ლამპარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმძიმესი დღეების შემდეგ როგორ ითამაშა, ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: ფანტასტიკური იყო! წარმოიდგინეთ, ადამიანს მთელი გასული კვირის განმავლობაში არ უვარჯიშია და გონებითაც სულ სხვაგან იყო, შემდეგ კი მოედანზე გამოვიდა და რაც ჩაიდინა, თავად იხილეთ".

და კიდევ, ერთი ემოციური ამბავიც: ყველამ იხილა, როგორ დაემხო მუხლებზე მატჩის დასრულების შემდეგ „ჩელსის" მწვრთნელი ავრაამ გრანტი. პრესკონფერენციაზე „ლურჯების" შეფმა განმარტა — იმ დღეს, გრანტის სამშობლოში, ისრაელში, ნაცისტების მსხვერპლთა ხსოვნის დღეს აღნიშნავდნენ...

„ნაცისტებმა ჩემი ბაბუა იმსხვერპლეს, ის, ვის საპატივცემულოდაც მქვია ავრაამი. ის მამაჩემმა საკუთარი ხელით დამარხა".

და, როგორც გაირკვა „ლივერპულთან" გამარჯვების მეორე დღეს, „ჩელსის" მწვრთნელი ჰოლონეთს გაემგზავრა — ოსვენციმში საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულთა ხსოვნას გუშინ მიაგეს პატივი...

პაპუნა კედია

სქოულზის ღიმილი

„მანჩესტერ იუნაიტედმა"

„ბარსელონას" პოლ სქოულზის საუცხოო გოლით რომ მოუგო, ბუნებრივია, ყველამ კარგად იცის და გოლიც ყველას ჩინებულად ახსოვს, მაგრამ იმის მოწმე, თუ როგორ გაიპარა თამაშის შემდეგ „ოლდ ტრეფორდიდან" მატჩის გმირი, ბევრი არ ყოფილა — სქოულზის შინ გაძურწვის შემდეგ, ქალაქ მანჩესტერს კიდევ კარგა ხნის განმავლობაში აყრუებდა ათასობით ფანის შეძახილი.

მაშ ასე, „მანჩესტერ იუნაიტედი" 1999 წლის შემდეგ პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რაც იმას ნიშნავს, რომ მანკუნიანელთა ვეტერანს კარიერაში... პირველად შეუძლია, უდიდესი საკლუბო შეჯიბრების დასკვნით მატჩში მიიღოს მონაწილეობა. რატომ პირველად? იმიტომ, რომ მაშინ, 1999-ში ის დისკვალიფიცირებული გახლდათ და მოედანზე არ იყო.

კაცზე, რომელიც მოედანზე ლიდერია, მოედანს მიღმა კი ცდილობს, ყურადღების მიღმა დარჩეს, სხვები ლაპარაკობენ.

პარტნიორი-ნახევარმცველი მაიკლ კარიკი: „თამაშის შემდეგ „სქულზის" ბევრი არაფერი უთქვამს, მალევე ჩაიცვა და წავიდა. ის ყოველთვის ასე იქცევა, ასეთი ტიპია. არადა, ფანტასტიკური ფეხბურთელია. ვფიქრობ, გაცილებით დიდი სახელისა და დიდების ღირსია, ვიდრე კარიერაში მიიღო. იცით, რამდენჯერ მინახავს მისი ასეთი გოლი? ხან ვარჯიშზე, ხან თამაშებისას. ისე ზუსტად იცის სისწრაფისა და დარტყმის მომენტის შერჩევა, რომ გაოცდები კაცი. ვფიქრობ, ის ნამდვილი ლეგენდაა და გულშემატკივარს ძალიან დიდხანს დაამახსოვრდება".

26 წლის კარიკი აღიარებს რომ მან, როგორც ფეხბურთელმა, პროფესიული განათლება 33 წლის მწითური თანაგუნდელის მხარდამხარ თამაშით მიიღო.

„მის მხარდამხარ თამაში და სწავლა უდიდესი სიამოვნებაა — განაგრძობს კარიკი — ის ფეხბურთელთა ფეხბურთელია, უკვე რამდენი ხანია, უმაღლეს დონეზე თამაშობს. სანამ ის „მანჩესტერ იუნაიტედის" წევრია, ჩვენ გვეშინება შეგრძნება, რომ რაღაცის მოგება შეგვიძლია. ვეთაყვანები საქმისადმი მის დამოკიდებულებას. არასდროს შევხვედრივარ „სქულზზე" უფრო ძლიერი და შესაფერისი ხასიათის ადამიანს. ხომ დაკვირვებიხართ, როგორ თამაშობს სხვადასხვა სიტუაციებში, როგორ ბრძნულად იყენებს თავის გამოცდილებას? მის გვერდით რომ თამაშობ, საკუთარი თავის რწმენაც გაორმაგდება".

მიკაელ სილვესტრის აზრით კი პოლ სქოულზის ემოცია იმ საღამოს სხვა არაფერი იყო, თუ არა ამოსუნთქვა: „როგორც იქნა, ფინალში გავედი!"

„პოლი გასახდელში სიხარულს ვერ მალავდა — იღიმებოდა. საერთოდ, მის სახეზე კმაყოფილებას ვერ წაიკითხავ ხოლმე, იმ დღეს კი მოსვენებული იერი ჰქონდა. 1999 წელს მან ფინალში ვერ ითამაშა, სამაგიეროდ, ახლა გაგვიყვანა მოსკოვში. ის ქებასა და დიდებას იმსახურებს. პოლი დიდი პროფესიონალია და თან — მანჩესტერელი".

ხოლო ერთადერთი მანჩესტერელი, რომლმაც 1999 წლის ფინალშიც ითამაშა და, თუ რამემ არ შეუშალა ხელი, 21 მაისს მოსკოვშიც იქნება, რაიან გიგზი გახლავთ.

ვეს ბრაუნი? კი ბატონო, ცხრა წლის წინ ისიც „იუნაიტედის" წევრი იყო, მაგრამ მოედანზე არ ყოფილა.

და გარი ნევილი? იმ, ლეგენდარულ ფინალში ნევილმაც ითამაშა, ოღონდ მხოლოდ 9 წუთი დაჰყო მოედანზე.

ისევ კარიკი: „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი გუნდის ფეხბურთელი ვიქნებოდი. ეს რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა. როდესაც იმ, დიდი ფინალის ჩანაწერს ვუყურებ და ბოლო წამებში გატანილ ორ გოლს ვხედავ, კითხვა მიჩნდება, რა გრძნობა დამეუფლებოდა ნეტავ, მეც რომ იქ ვყოფილიყავი. ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხს სულ მალე მივიღებ".

ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორჯერ აქვს ნათამაშები 37 წლის მეკარეს ედვინ ვან დერ სარს, რომელმაც 1995 წელს „აიაქსის" შემადგენლობაში „მილანთან" გაიმარჯვა, ხოლო მომდევნო წელიწადს „იუვენტუსთან" წააგო.

„მას მერე ძალიან დიდი დროა გასული, ასე რომ, კვლავ ფინალში გასვლა და კიდევ ერთხელ ცდა ჩინებული გრძნობაა" — განაცხადა მანკუნიანური კარის ჰოლანდიელმა მცველმა.

პაპუნა კედია

მუქი ტრანს-ფერები

11197	იანგ ბოიზი-ქსამაქსი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11198	ლუცერნი-თუნი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11200	სტ.გალენი-სიონი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11201	გრასჰოპერი-აარაუ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11211	კალიარი-ფიორენტინა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11212	პარმა-ჯენოა	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11213	მილანი-ინტერი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11215	სიენა-იუვენტუსი	8.50	10.00	20.00	9.00	4.80	3.50	20.00	10.00	2.00
11217	ატალანტა-ლივორნო	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11218	ტორინო-ნაპოლი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11219	ლაციო-პალერმო	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11220	კატანია-რეჯინა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11221	სამპდორია-რომა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11222	ემპოლი-უდინეზე	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11320	მარხელი-ბორდო	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11321	ლორიანი-ლე მანი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11322	სტ.ეტიენი-ლილი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11323	ნიცა-ლიონი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11325	სოშო-მეცი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11326	ლანსი-მონაკო	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11327	ტულუზი-პსჟ	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11328	კაენი-რენი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11329	ნანსი-სტრასბური	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11331	ოსერი-ვალენსიენი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11332	სედანი-ლიბურნი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11333	ამიენი-ნანტი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11334	აიაჩო-ტრუა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11335	ანჟე-ბასტია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11336	შატორუ-ბრესტი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11337	რეიმსი-კლერმანი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11338	ნიორი-დიჟონი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11339	ბულონი-გრენობლი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11340	გენგამი-გენიონი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11341	მონპელიე-ლე ავრი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11352	სერკლი-ბრიუსელი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11353	გენტი-შარლეროა	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11354	ბეერსხოტი-მეხელენი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11355	რუსელარე-მუსკრონი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11356	სტ.ტრუიდენი-მონხი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11357	სტანდარდი-დენდერი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11359	ვესტერლო-ლოკერენი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11360	ვარეგემი-გენტი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11361	ანდერლეხტი-ბრიუგე	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11401	კრილია-ამკარი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11402	ნალჩიკი-მოსკოვი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11403	ცსკა-ზენიტი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11404	შინიკი-დინამო მ	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11405	რუბინი-სპარტაკი მ	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11406	სატურნი-ხიმკი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11407	ტერეკი-ტომსკი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11408	ლოკომოტივი-ენერგია	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00

NBA პლეი ოფი. პირველი წრე

ატლანტელები გარნეტს არ ეშვებიან

30 აპრილი

აღმოსავლეთი

ბოსტონი 3:2 ატლანტა

ბოსტონი 110:85 ატლანტა

ბოსტონი: რონდო (12), რ. ალენი (19), პირსი (22), გარნეტი (20), პერკინსი (2); კასელი (13), პოუი (10), პოუზი (6), დევისი (4), ტ. ალენი (2), ბრაუნი, პაუსი

ატლანტა: ბიბი (6), ჯონსონი (21), უილიამსი (12), სმიტი (18), ჰორფორდი (14 ქულა, 10 მოხსნა); ჩილდრესი (5), ლოუ (5), **ფაჩულია** (10 წუთი, 2 ქულა, 1 პასი), ჯონსი (2), რიჩარდსონი, სტუდემაიერი

ეგ ღლაპები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ თავხედობისთვის! ამ განწყობით გავიდნენ ბოსტონელები მეხუთე თამაშში და ჯორჯიელებს ატლანტური „გამოხდომა“ 25-ქულიანი მარცხით აზღვევინეს.

ანგარიში გვაფიქრებინებს, რომ „ბოსტონმა“ უდრტვინველად მოიგო, მაგრამ სინამდვილეში ეს თამაშიც ნერვიული გამოვიდა და არც ტექნიკურები არ აკლდა. წინა შეხვედრაში კევინ გარნეტმა იდაყვი აძგერა ჩვენებურ ზაზა ფაჩულიას და მისგან პასუხიც მიიღო. ახლა კი მეორე მეოთხედში „კელტების“ ლიდერზე ატლანტელი ალ ჰორფორდი უხეშად დაჯარიმდა, მესამე პერიოდში კი გარნეტი და ჯო ჯონსონი წაკინკლავდნენ.

მოკლედ, შეხლა გრძელდება და დიდი შანსია, მეშვიდე მატჩამდეც მიატანოს, რადგან ჯერ მხოლოდ მასპინძელი გუნდები იგებენ და ამ ლოგიკით ახლა „ატლანტას“ ჯერია, რომელიც 2 მაისს მასპინძლობს მეექვსე თამაშს.

კლივლენდი 3:2 ვაშინგტონი

კლივლენდი 87:88 ვაშინგტონი

კლივლენდი: ჯეიმსი (34 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (19), ვეესტი (12)

ვაშინგტონი: ბატლერი (32), სტივენსონი (17), დანიელსი (12), ჯეიმსონი (8 ქულა, 11 მოხსნა)

ლებრონ ჯეიმსის „კავალერიას“ კარგი შანსი ჰქონდა, დედაქალაქელებთან ბრძოლა სერიის მეხუთე მატჩში მოემთავრებინა, მაგრამ მთელი შეხვედრის განმავლობაში ნაყოფიერად მოთამაშე ლებრონს თავად აუცდა ხელი, ბოლო წამზე ახლოდან ვერ ჩააგდო ორიანი, ასე რომ, ბრძოლა აქაც გრძელდება.

დურანტი პატარებში დიდია



სეზონის საუკეთესო ახალბედის გამოსავლენ გამოკითხვას მოულოდნელი არაფერი დაუფიქსირებია — „სიეტლ სუპერსონიქსის“ 206-სანტიმეტრიანმა მსუბუქმა ფორვარდმა კევინ დურანტმა დაიმსახურა საკალათბურთო ჟურნალისტთა წყალობა და 2007-08 სეზონის საუკეთესო ახალწვეულის პრიზი.

დურანტი „სიეტლში“ მისვლის დღიდან იქცა მის ლიდერად და მიუხედავად იმისა, რომ მის ამ სტატუსს გარკვეულწილად აკნინებს მისი გუნდის უსუსური გამოსვლა ამ სეზონში, მოცილე პრაქტიკულად არ ჰყავდა. კარგები იყვნენ ატლანტელი ალ ჰორფორდი (რომელმაც „ჰოქსის“ სასტარტო ხუთეულიდან ზაზა ფაჩულია ამოაგდო) და ჰიუსტონელი ლუის სკოლა, მაგრამ სიეტლელი საუკეთესო გახლდათ, მით უმეტეს იმ დღიდან, როცა სეზონის დაწყებამდე დაიმტვრა დრაფტის პირველი ნომერი, პორტლენდელი გოლიათი გრეგ ოდენი.

ნბა-ში პირველ სეზონში დურანტი აგროვებდა საშუალოდ 20,3 ქულას. 2003-04 სეზონის ორი ფენომენის კარმელო ენტონის (21,0) და ლებრონ ჯეიმსის (20,9) შემდეგ ასეთი მაღალი მაჩვენებლით არც ერთ ახალგაზრდას არ დაუწყია პროფესიული კარიერა.

დამთავრდა გენერლის ზღაპარი

აივერი ჯონსონი

ყველაფერი ცუდია, რაც ცუდად მთავრდება? ძნელი სათქმელია... „დალასში“ გატარებული მღელვარე წლები მომავალში შეიძლება კარგადაც მოიგონოს აივერი ჯონსონმა, მაგრამ ახლა ის ნამდვილად ვერ იქნება კარგ განწყობაზე, რადგან კლუბმა ის გაათავისუფლა პლეი ოფის პირველ წრეში ზედიზედ მეორედ წაგებისთვის.

სამნახევარი წლის წინ ჯონსონი უდიდესი შემართებით შეეჭიდა ამ საქმეს. მან დონ ნელსონის შექმნილი „მავერიკსი“ გააძლიერა, დასერიოზულა და საჩემპიონოდ მომართა. ამასთან საქმეში იმხელა ენერგიას ოა გზნებას დებდა, რომ კიდევ უფრო განუმტკიცდა მოთამაშეობისდროინდელი მეტსახელი — „პატარა გენერალი“.

მაგრამ პატარა გენერალი ყოველთვის გამარჯვებული როდი გამოდიოდა ბრძოლებიდან. მის კარიერაში გვერდიგვერდ დგანან მოგება და წაგება. მან აქცია დირკ ნოვიცკი სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ, მან გაიყვანა 2006 წელს „დალასი“ პლეი ოფის ფინალში, 2006-07 სეზონში მან მოაგებინა რეგულარულ ჩემპიონატში კლუბისთვის სარეკორდოდ ბევრი 67 თამაში! მაგრამ მანვე იმავე 2007-ის პლეი ოფში ვერაფერი მოუხერხა ყოფილი მასწავლებლის დონ ნელსონის „გოლდენ სტეიტს“ და პლეი ოფში 13 წელიწადში პირველად გასულ გუნდთან პირველივე რაუნდში დამარცხდა. ან რა შეემთხვა ერთი წლით ადრე? გუნდი ფინალში იყო, „მაიამის“ 2:0 უგებდა, მესამე თამაშშიც ზორბა უპირატესობა ჰქონდა და... 2:4 წააგო საჩემპიონო ბრძოლა.

წლეულს გუნდ დაღმასვლა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ვეტერანი ვარსკვლავი ჯეისონ კიდი შეიმატა, „დალასს“ პლეი ოფში გასასვლელადაც კი ბრძოლა დასჭირდა, იქ კი უსახელოდ დამარცხდა „ნიუ ორლეანთან“. ეს უკვე აშკარა ჩავარდნა იყო და გენერლის ზღაპარიც აქ დამთავრდა.

ივანე კოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ლაბაძე

ნუ ვიჩქარებთ, მაგრამ...

მოძმანაშვილის ლიცენზიას დოპინგის სუნი აუვიდა

აპრილის დასაწყისში ფინეთში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე 21 წლის დავით მოძმანაშვილმა ფინალში სლოვაკ დავიდ მუსულბესს მოუგო და ოქროს მედალთან ერთად ოლიმპიადის ლიცენზიაც გაინაღდა. ფინეთში ამ მონაგარის შემდეგ ლიცენზიათა სრულ კომპლექტს 2 საგზურიღა აკლდა და მათ მოპოვებას ნაკრების ხელმძღვანელობა პოლონეთში დღეს და ხვალ გასამართ საერთაშორისო ტურნირზე გეგმავდა...

გუშინ კი აზერბაიჯანულმა სააგენტო „აზერისპორტმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ დავით მოძმანაშვილის დოპინგზე ჩავარდნის გამო ოლიმპიური ლიცენზია აზერბაიჯანელ ალი ისაევს გადაეცა...

საქმე ის არის, რომ მოძმანაშვილმა ტამპერეს ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში სწორედ ალი ისაევს მოუგო და FILA-მაც ავტომატურად გადასცა აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციას 120 კგ წონით კატეგორიის საპეკინო საგზური.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას დავუკავშირდით, სადაც პრესსამსახურის უფროსმა თამარ ჯინჭარაძემ ასეთი რამ გვითხრა: „საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია აცხადებს, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი. ასეთი შემთხვევები არაერთ ქვეყანასთან მიმართებაშიც მომხდარა, თუმც შემდეგ ყველაფერი გარკვეულა და სპორტსმენსაც ლიცენზია შეუნარჩუნებია. ჩვენი ნაკრების მთავარი ექიმის ზურაბ კახაბრიშვილის ვარშავიდან დაბრუნებამდე ამ საქმეზე რეაგირებისგან თავს შევიკავებთ. ნაკრების ექიმის კომპეტენტურობიდან გამომდინარე, ქართული მხარე თბილისში მის დაბრუნებას დაელოდება და დამატებითი ინფორმაცია ამის მერე გახდება ცნობილი. ასევე მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული შემთხვევა მთლიანად ქართული სპორტის ისტორიაში პირველია და დასანანი იქნება, თუ მოძმანაშვილის გარშემო ატეხილი სკანდალი დადასტურდება. ყოველ შემთხვევაში, 120 კგ-ში ლიცენზიის დასაზღვევად ჩვენ ვარშავაში ალექსანდრე მოდებაძე გავგზავნეთ“.

შემდეგ ანტიდოპინგური კომისიის თავმჯდომარეს პალიკო კასრაძეს შევეხმიანეთ და კომენტარი ვთხოვეთ: „ეს ამბავი ჟურნალისტებისგან შევიტყვე. თავად ჩილეში იუნიორ მორაგბეთა მსოფლიოს თ -სზე ვიყავი. მომხდარის გამო ძალიან დამწყდა გული. რაც შეეხება დოპინგკონტროლს, წესები ასეთია, რომ შეჯიბრების დასრულებიდან 10 დღეში ქვეყნდება A ტესტის, ანუ პირველი შემოწმების პასუხები, რომელიც შემდეგ ეგზავნება როგორც საერთაშორისო ფედერაციას, ასევე იმ ქვეყნის ფედერაციას ან ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის სპორტსმენმაც შემოწმება გაიარა. დადებითი პასუხის შემთხვევაში სპორტსმენს შეუჩერდება ლიცენზია. ამის შემდეგ, 21 დღის განმავლობაში ფედერაციას უფლება აქვს, მოითხოვოს B სინჯი, ანუ ხელმეორედ შემოწმება. იქამდე კი ჭიდაობის ფედერაციაში უნდა მოხდეს შიდა მოსმენა. თუ მოჭიდავე აღიარებს აკრძალული პრეპარატის მიღებას, მაშინ მასზე შედარებით მსუბუქი სანქციები გაიცემა. თუ სპორტსმენი აპელირებს, მხოლოდ მაშინ გაივლის ხელმეორე კონტროლს, ოღონდ შესაბამისად, დადებითი პასუხის შემთხვევაში სასჯელიც მძიმე იქნება. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესების მიმდინარეობისას ინფორმაცია კონფიდენციალურია და აზერბაიჯანულ მხარეს ამბის საჯაროდ გაცხადების ეთიკური უფლება არ ჰქონდა. ამასაც გეტყვით, რომ B სინჯით სპორტსმენის გამართლება მსოფლიოს პრაქტიკაში იშვიათად მოხდარა, მაგრამ გამონაკლისები, რა თქმა უნდა, არსებობს. ვნახოთ, ჩვენ იმედს ნუ დავკარგავთ“ — გვითხრა პალიკო კასრაძემ.

2 და 3 მაისს კი საქართველოს ნაკრები ვარშავაში სამი სპორტსმენით წარსდგება. ბესარიონ გუჩაშვილი (55 კგ), მალხაზ ქურდიანი (60 კგ) და ალექსანდრე მოდებაძე (120 კგ) შეეცდებიან პოლონეთში პეკინის საგზურების მოპოვებას.

ზურაბ მიგრიაული

უბრძოლველი ბრინჯაო

გუშინ სპორტის სასახლეში სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი საბრძოლო სამბოთი დასრულდა. რუსთა უპირატესობა აქაც ცალსახა იყო. თავად განსაჯეთ, 9 წონათი კატეგორიიდან 8-ში რუსებმა იმარჯვეს.

ქართველებმა სულ ორი წარმომადგენელი გამოიყვანეს — დიმიტრი მულაძე (52) და გურამ გოგიძე (82 კგ). გოგიძემ პირველივე დაპირისპირება დათმო. ხელი მულაძესაც მოეცარა, მაგრამ მის წონაში იმდენად ცოტა გამომსვლელი იყო, ბრინჯაო მაინც არგუნეს...

ლეონიდ მაისურაძე

ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE
ᲠᲐᲒᲑᲘ
ᲣᲫᲕᲠᲘᲡᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ

როგორ დავხარჯოთ მილიონი

ᲐᲥᲐᲛᲓᲔ თუ სანაკრებო ციებცხელება იყო, ახლა ივნისამდე, სანამ რუმინეთში მსოფლიოს ერთა თასი დაიწყება, შინაური რაგბის დროა. ამ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატი იწყება, რომელიც გაზაფხულ-შემოდგომის პრინციპით გაიმართება და როგორც წინა სამი ოთხი გათამაშება, ეგრეთ წოდებული ავსტრალიური სისტემით ჩატარდება.

აქვე განვმარტოთ ავსტრალიური სისტემის რაობაც: ამ ფორმატით გუნდები შინ და გარეთ პრინციპით ორ წრედ თამაშობენ, აქ სტუმარმასპინძლობა პირობითია, რადგან რვა კლუბიდან მხოლოდ ერთი, ქუთაისის „აიაა“ არათბილისური კლუბი.

ორი წრის ჯამური მონაგარით გამოვლინდება საპლეიოფო ოთხი გუნდი. პლეი ოფში ოთხეულის პირველადგილოსანი მეორადგილოსანს წინასწარ ფინალში შეხვდება. აქ გამარჯვებული პირდაპირ გადის დიდ ფინალში, წაგებული კი შანსს ინარჩუნებს და ფინალში გასასვლელად მესამე და მეოთხე ადგილოსანს შორის გამარჯვებულს ხვდება. მათში მოგებული დიდ ფინალში გადის, წაგებული კი მესამე ადგილს იკავებს. აქვე ვთქვათ, რომ მესამე და მეოთხე ადგილოსნებს შორის ნახევარფინალს გასავარდნი ფინალი ჰქვია და წაგებული მეოთხე ადგილზე რჩება.

უმაღლესი ლიგიდან ბოლოადგილოსანი პირდაპირ ვარდება პირველ ლიგაში, რომლის ადგილსაც პირველი პირველლიგელი იკავებს. ხოლო უმაღლესი ლიგის მეშვიდე გუნდი, პირველი ლიგის მეორე გუნდს პლეი ოფში შინ და გარეთ პრინციპით ერაგბება ელიტაში ადგილისთვის.

გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის უფროსობამ ჩემპიონატის წინა პრესკონფერენცია მოაწყო. თავიდან ითქვა, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩები „შევარდენის“, „მიხეილ მესხის“ სათადარიგო და „სინათლის“ მოედნებზე ჩატარდება. შემდეგ კი უფრო ვრცლად ჩვენი რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ ისაუბრა...

გია ნიჟარაძე: სამი სეზონია, ექსკლუზიურად საქართველოს ჩემპიონატი ტარდება, ახლა კი რვა კლუბი იქნება, რაც ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა. აქამდე და ახლაც გუნდებს არ ვახდევინებთ საშეჯიბრო თანხას. უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის მორაგბეს, ვინც საატურნირო განაცხადში იყო, ყოველთვიურად ვუხდიდით 50 ლარს. მწვრთნელებსაც ხელფასი ჩვენ დავუნიშნეთ. გარდა ამისა, სამი წლის მანძილზე უფასოდ ვაზღვევთ გუნდებს და მოედნების იჯარასაც ჩვენ ვიხდით. ეს ყველაფერი რაგბის კავშირს ერთ გუნდზე დაახლოებით 16-20 ათასი ლარი უჯდება. ჩვენ წლეულსაც გავაგრძელებთ კლუბების შენახვას, ოღონდ მორაგბეებს ყოველთვიურად 50 ლარს ველარ გადავუხდით. ეს პრაქტიკულად გზის ფული იყო. ამ თანხას წლეულს მხოლოდ რეგიონალურ კლუბებს მივცემთ, დანარჩენი პირობა კი ძალაში რჩება. შარშან ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 10 ათასი ლარი იყო, წლეულს გაცილებით მეტი, გაისად კი მილიონ ლარზე მეტი იქნება. ეს უკვე სამთავრობო პროგრამაშია. საპრიზო ფული რვავე გუნდზე დაკავებული ადგილების მიხედვით გადანაწილდება და წლის ბოლოს, სავარაუდოდ, იანვარში მიიღებენ. ამ თანხას დაემატება სადაზღვევო ფული, მოედნის იჯარის ფული, ხელფასები. ყველაფერს სეზონის ბოლოს იმიტომ ვაძლევთ კლუბებს, რომ მომავალი სეზონისთვის კარგად მოემზადონ. ამაში კი კლუბებს ისევ ჩვენ ვთავაზობთ დახმარებას. ჩვენი გამოცდილებით და მენეჯერებით დავეხმარებით გუნდებს სწორი მენეჯმენტის შერჩევაში. მარტივად რომ ვთქვათ, კლუბები ჯერ კიდევ არ არიან ჩამოყალიბებულნი, როგორც სტრუქტურა და ფულის სარგებლიანად განაწილებაში მათ ჩვენს გამოცდილებასა და რჩევებს ვთავაზობთ“.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲣᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

I ᲢᲣᲠᲘ
3-4 ᲛᲐᲘᲡᲘ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲚᲔᲚᲝ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲐᲘᲐ
ᲗᲡᲣ - ᲐᲠᲛᲐᲖᲘ

II ᲢᲣᲠᲘ
10-11 ᲛᲐᲘᲡᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲐᲠᲛᲐᲖᲘ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲚᲔᲚᲝ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲐᲘᲐ — ᲗᲡᲣ

III ᲢᲣᲠᲘ
17-18 ᲛᲐᲘᲡᲘ
ᲚᲔᲚᲝ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ
ᲗᲡᲣ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲐᲘᲐ

IV ᲢᲣᲠᲘ
31 ᲛᲐᲘᲡᲘ — 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲐᲘᲐ
ᲚᲔᲚᲝ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲗᲡᲣ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲐᲠᲛᲐᲖᲘ

V ᲢᲣᲠᲘ
27-28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲗᲡᲣ — ᲚᲔᲚᲝ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ
ᲐᲘᲐ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

VI ᲢᲣᲠᲘ
28-30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲗᲡᲣ
ᲚᲔᲚᲝ — ᲐᲠᲛᲐᲖᲘ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲐᲘᲐ

VII ᲢᲣᲠᲘ
5-6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
ᲗᲡᲣ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲐᲘᲐ — ᲚᲔᲚᲝ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ

VIII ᲢᲣᲠᲘ
19-21 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲚᲔᲚᲝ
ᲐᲘᲐ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲗᲡᲣ

IX ᲢᲣᲠᲘ
30-31 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲚᲔᲚᲝ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ
ᲗᲡᲣ — ᲐᲘᲐ

X ᲢᲣᲠᲘ
13-14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲚᲔᲚᲝ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲗᲡᲣ
ᲐᲘᲐ — ᲐᲠᲛᲐᲖᲘ

XI ᲢᲣᲠᲘ
20-21 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲐᲘᲐ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲚᲔᲚᲝ
ᲗᲡᲣ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

XII ᲢᲣᲠᲘ
21-24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲚᲔᲚᲝ — ᲗᲡᲣ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲐᲠᲛᲐᲖᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲐᲘᲐ

XIII ᲢᲣᲠᲘ
11-12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲗᲡᲣ — ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ
ᲐᲠᲛᲐᲖᲘ — ᲚᲔᲚᲝ
ᲐᲘᲐ — ᲧᲝᲩᲔᲑᲘ

XIV ᲢᲣᲠᲘ
25-26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ — ᲗᲡᲣ
ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ — ᲐᲠᲛᲐᲖᲘ
ᲚᲔᲚᲝ — ᲐᲘᲐ
ᲧᲝᲩᲔᲑᲘ — ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲔᲑᲘ (II ᲔᲢᲐᲞᲘ)
ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ: 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ: 8 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲤᲘᲜᲐᲚᲘ: 14-15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

თბილისის „ყოჩები“, თბილისის „ლელო“, თბილისის „ლოკომოტივი“, თსუ, თბილისის „არმაზი“, ქუთაისის „აია“, თბილისის „დინამო“, თბილისის „აკადემია“

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ

საქართელოს ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში პირველ ეტაპზე გაიმართება ორ წრედ, მიმოსვლით, შინ და სტუმრად.

ჩემპიონი გამოვლინდება პლეი ოფის სისტემით ჩატარებულ მეორე ეტაპზე, დაწინაურებულ ოთხ გუნდს შორის.

რეგულარულ ჩემპიონატში პირველი ეტაპის შემდეგ ადგილები ცხრილში განაწილდება ქულების კლების მიხედვით.

ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში რეგულარულ ჩემპიონატში ადგილები განაწილდება შემდეგი პრინციპით:

ა) დაწინაურდება ის გუნდი, რომელმაც დააგროვა მეტ ქულა ურთიერთშეხვედრებში;

ბ) დაწინაურდება ის გუნდი, რომელსაც გატანალი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთშეხვედრებში;

გ) დაწინაურდება ის გუნდი, რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება ურთიერთშეხვედრებში;

დ) დაწინაურდება ის გუნდი, რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება მთელ ჩემპიონატში;

ე) დაწინაურდება ის გუნდი, რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება მთელ ჩემპიონატში;

ვ) დაწინაურდება ის გუნდი, რომელსაც ნაკლები დისციპლინური სასჯელი (ყვითელი და წითელი ბარათი) აღმოაჩნდება მთელ ჩემპიონატში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

2008 წლის საქართველოს თასის გათამაშება გაიმართება უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებს შორის

1. თბილისის „ყოჩები“
2. თბილისის „ლელო“
3. თბილისის „ლოკომოტივი“
4. თსუ
5. თბილისის „არმაზი“
6. ქუთაისის „აია“
7. თბილისის „დინამო“
8. თბილისის „აკადემია“
9. რუსთავის „ხარები“
10. თბილისის „ლოკომოტივი-2“
11. თბილისის „დათვები“
12. ბათუმი
13. თბილისის „ლელო-2“
14. თსუ — თბს
15. თბილისის „ხულიგანა“
16. ქუთაისის „აია-2“

საქართელოს თასი გათამაშდება ოთხ ეტაპად, ამათგან, პირველი და მეორე ეტაპები ჩატარდება ერთ ტურად თითოეული.

გუნდები ცხრილში დალაგდება 2007 წლის ჩემპიონატის რეიტინგით (ცხრილში მხოლოდ 1-10 ადგილებია რეიტინგული).

განუთესავი გუნდების სარეიტინგო ადგილი გაირკვევა კენჭისყრით.

თასის გათამაშების პირველ ეტაპზე გუნდები დაწყვილდებიან რეიტინგული პრინციპით: 1 — 16, 2 — 15 და ასე შემდეგ.

გამარჯვებული რვეული მეორე ეტაპზე გავა და ასევე რეიტინგული პრინციპით დაწყვილდება 1 — 8-ეს, 2 — 7-ე და ასე შემდეგ შეხვდებიან.

პირველ და მეორე ეტაპზე მატჩის მასპინძლის ვინაობა გაირკვევა კენჭისყრით.

პირველი ეტაპი
24-25 მაისი
მეორე ეტაპი
12-13 ივლისი
მესამე ეტაპი
I ტური. 6-7 სექტემბერი
II ტური. 4-5 ოქტომბერი
ფინალი. 18 ოქტომბერი

ტიმ ლეინი დარწმუნებულია: განსხვავებულით დაილოცება

საქართველოს ნაკრებმა აღდგომის წინა დღეს თბილისში ესპანეთს რომ მოუგო და 2001 წლის აქეთ ერთა თასის ჩემპიონი მეორედ შეიქნა, მას შემდეგ ხუთი დღე გავიდა და ემოციებიც დაცხრა. ჩვენებმა შეძლეს და ლამის წაგებული მატჩი სათავისოდ შემოაბრუნეს. არადა, წესით, აქამდე საქმე არ უნდა მისულიყო.
საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ტიმ ლეინს გუშინ რაგბის კავშირში შევხვდით და ინტერვიუ ჩამოვართვით, მით უმეტეს, რომ ესპანეთთან მატჩის შემდეგ კითხვები საკმაოდ დაგროვდა...

გადრი კეთილაძის-ფოტო

— ესპანეთთან შეხვედრის წინ თქვენს თანაშემწეს, ლევან ცაბაძეს ვესაუბრეთ. მან გვითხრა, რომ ესპანეთს რუმინეთსა და რუსეთზე უკეთესი უკანახაზი ჰყავს და ერთა თასზე ყველაზე მზარდი გუნდია. ვიცით, რომ ეს მოთამაშეებსაც უთხარით, მაგრამ ჩანდა, რომ გუნდი თავიდან საბრძოლველად ვერ განწყო. თქვენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მორაგბეები მოდუნებულები ან იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული გავიდნენ მოედანზე. ამ მხრივ, პრობლემა მართლაც არ ყოფილა. ესპანეთს ჰყავს კარგი შუამარბები, რომლებიც შეტევას გონივრულად ავითარებენ და დაცვაში ძალიან აგრესიულად თამაშობენ. აგრეთვე ჰყავთ კარგი გამთამაშებელი და მათი დახმარებით, დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადადიან. სწორედ ამან და რამდენიმე ჩემი მორაგბის პოზიციურმა შეცდომამ გამოიწვია მატჩის დებიუტში ჩვიდმეტქულიანი ჩამორჩენა. თუ გახსოვთ, პირველივე წუთებიდან ჩვენ ვუტევდით და სალელოე მომენტიც გვქონდა, მაგრამ რევაზ გიგაურმა ისეთი პასი გააკეთა, რომ მეტოქეს კონტრშეტევის საშუალება მისცა. ამ დროს დაცვაში პოზიციურად შეცდა ოთარ ბარკალაია და ლელოც მივიღეთ. მეორე ლელოც ბარკალაიას შეცდომით გავუშვით, მაგრამ ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ანგარიშს გავათანაბრებდით და მოვიგებდით კიდეც.

— ასეთი დარწმუნებული რატომ იყავით?

— თუ არ ჩავთვლით პირველ ათ წუთს, მატჩის ბოლომდე ვითარებას ჩვენ ვაკონტროლებდით და მეტოქე თავის ნახევარზე გვყავდა მომწყვდეული. მეორე ტაიმში ესპანელები ერთხელ გადმოვიდნენ ჩვენს ნახევარზე და ჯარიმა გაგვიტანეს. ამის მერე მათ ერთპროცენტიანი შანსით არ ჰქონიათ. მესმის, რომ გულშემატკივარმა ძალიან ინერვიულა, მაგრამ მწვრთნელის თვალით აშკარად ჩანდა, რომ მეტოქე ვერ გაგვიძლებდა. ეს იყო მატჩი, რომელშიც გამოიცადა საქართველოს ნაკრების ხასიათი. ბიჭებმა ეს გამოცდა ჩააბარეს.

— ესპანეთთან მატჩის წინა მოთელვაზე ტრავმა მიიღო ირაკლი ჩხიკვაძემ, მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაში სანდრო თოდუამ დაიკავა, სათადარიგოებში კი კუნთმტკივანი გიორგი შკინინი დაჯდა, რომელსაც საერთოდ არ უნდა ეთამაშა. ამან აგირიათ უკანახაზი?

— დიახ, რა თქმა უნდა. ირაკლი ჩხიკვაძე საკმაოდ დიდი ძალაა და დანარჩენებთან შეთამაშებულია. შკინინი კი გვიან ჩავრთეთ თამაშში, რადგან დიდ დროით დატვირთვას ვერ გაუძლებდა.

— ამიტომ ხომ არ ჯობია, შეკრებაზე 23-24 მორაგბე იყოლიოთ, რომ ასეთი პრობლემა აღარ შეიქმნას? ჩეხეთთან სულაც 21 მორაგბით ჩახვედით...

— სადაც კი აქამდე მიმუშავია, თან ყველგან ოცდაოთხი მორაგბე დამყავდა. ეს სავსებით ნორმალურია. რაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვარ, ასეთ პრობლემას ორჯერ თუ სამჯერ გადავაწყდი. მერწმუნეთ, ეს ჩვენი ბრალი არაა. ჩეხეთთან მატჩისთვის გამოვიძახეთ 22 მორაგბე. იქ ჩასულებმა კი შევიტყვეთ, რომ ფრანგული კლუბები რამდენიმე მორაგბეს არ ათავისუფლებდნენ და ცაიტნოტში აღმოვჩნდით. სხვა მორაგბის გამოძახება და მისი ჩეხეთში ჩამოსვლა აღარ ესწრებოდა. ესპანთთან მატჩის წინ ჩხიკვაძემ მოთელვაზე მიიღო ტრავმა და, ცხადია, დანაკლისს აღარაფერი ეშველებოდა. მსგავსი სიტუაციისგან დაზღვეული არავინაა.

— წლევანდელი ერთა თასი არ დაემთხვა რაგბის საერთაშორისო საბჭოს კალენდარს, ფრანგული კლუბებიც გაჯიუტდნენ და მოთამაშეებს არ უშვებდნენ. მსგავსი პრობლემა რომ აღარ შეიქმნას, არ აპირებთ საგაისო კალენდრის შედგენაში ჩარევას? მით უმეტეს, მომავალი, 2009-2010 წლების ერთა თასის გამარჯვებული პირდაპირ გადის მსოფლიოს თასზე.

— ჩვენ უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ერთა თასელებთან, რომ მომავალი ტურნირისთვის ყველასთვის მისაღები კალენდარი შევადგინოთ. რაც მთავარია, ეს რაგბის საერთაშორისო საბჭოს განრიგს დავამთხვიოთ. რაც შეეხება ფრანგულ კლუბებს, მათ უკვე აღარ ექნებათ უფლება, მორაგბე დააკავონ. მიმუშავია ფრანგულ კლუბებში და მესმის მათი და ლეგიონერების. ჩვენ ვიცით, როგორ მივუდგეთ ამ საკითხს. ზაფხულში, საბერძნეთში ევროპის რაგბის ასოციაციის კონგრესი გაიმართება. იქ კავშირის პრეზიდენტი, გია ნიჟარაძე მიემგზავრება და დარწმუნებული ვარ, ოპტიმალურ კალენდარზე შეთანხმდებიან.

— იქამდე კი ივნისში, ბუქარესტში მსოფლიოს ერთა თასი ჩატარდება. ამ ტურნირისთვის ძირითად შემადგენლობას შეკრებთ და შესაძლო კანდიდატებს გამოცდით?

— მსოფლიოს ერთა თასზე რამდენიმე გამოცდილი მორაგბეს და ლეგიონერს წავიყვან. გუნდს კი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებით შევავსებ. ახლა უკვე საქართველოს ჩემპიონატი იწყება, მე თბილისში ვრჩები და ჩემპიონატის ყველა ტურს დავესწრები. ვინც თავს გამოიჩენს და სანაკრებოდ მომწიფდება, შანს ყველას მივცემთ, შრომას არავის დავუკარგავთ.

ამ დროს საუბარში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე ჩაერთო. გია ნიჟარაძემ ტიმ ლეინს მოსაწვევი მისცა, შპათისთვის ბორჯლალოსანთა ავსტრალიელი მწვრთნელი სიღნაღში, ღვინის ფესტივალზე დაპატიჟეს...

— ღვინო გიყვართ?

— დიდი მსმელი არ ვარ, მაგრამ კარგ ღვინოს ყოველთვის გეახლებით.

— ქართული ღვინო მოგეწონათ?

— ძალიან. განსაკუთრებით ის ღვინო მომეწონა, თქვენ რომ მწვანეს ეძახით... მანავის მწვანე „სატერავიც“ ძალიან მაგარია. ახლახანს კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გია გორგასლიძემ დამპატიჟა ღვინოზე. ისიც მომეწონა, სახელს ვერ ვიხსენებ... ერთი წუთით დამელოდეთ.

ტიმ ლეინი გვერდით ოთახში გავიდა, წუთში მობრუნდა და...

— გიას ვკითხე, „უსახელოური“ ყოფილა, სადილზე ერთი ჭიქის დაყოლებას არაფერი სჯობს.

— იმედია, საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს თასზე რომ გაიყვანთ, ცოტა დიდი სასმისითაც დაილოცებით.

— ამაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, აქ არც ჩამოვიდოდი.

— თქვით, რომ მსოფლიოს ერთა თასზე რამდენიმე გამოცდილ ლეგიონერს წაიყვანთ. მათში იმათაც გულისხმობთ, ვინც წლეულს ნაკრებში ვერ ითამაშა?

— დიახ... ძალიან ბევრი მსმენია ირაკლი მაჩხანელზე. ვიცი, რომ უნივერსალი უკანახაზელია და მისი საქმეში ნახვა რაც შეიძლება მალე მსურს. არ ვიცოდი მალხაზ ურჯუკაშვილის შესაძლებლობები, ესპანეთთან მატჩისას მას იშვიათად მისდიოდა ბურთი და ამიტომ ვერც ახლა გავიგე ბოლომდე, რა შეუძლია ამ ბიჭს. თუმც ვარჯიშებზე კონცენტრირებული იყო და გამოცდილება და ოსტატობა ეტყობა. შემოდგომაზე ტესტები გვაქვს დაგეგმილი და ურჯუკაშვილს აუცილებლად გამოვიძახებ.

— სხვათა შორის, მალხაზ ურჯუკაშვილი ბოლო მცველის პოზიციაზეც თამაშობს. ესპანეთთან მატჩში კი ოთარ ბარკალაიამ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ხომ არ აპირებთ ამ პოზიციაზე ურჯუკაშვილის ნახვას?

— მიუხედავად შეცდომებისა, ოთარ ბარკალაია მაინც პირველია ფულბეკის პოზიციაზე. მანამდე ბარკალაიამ ოთხი მატჩი უმაღლეს დონეზე ითამაშა. გაიხსენეთ მისი უზადო თამაში რუმინეთთან და რუსეთთან. მე არ განვეკუთვნები იმ მწვრთნელების კატეგორიას, რომლებიც შეცდომებს არ პატიობენ. ასე რომ მოვიქცე, მოედანზე ექვსი მოთამაშე დამრჩება. მე არ მყავს მორაგბე დაძაბულობაში, ამ წნეხისგან ვათავისუფლებ და შანს ვაძლევ თავის შეცდომაზე ისწავლოს და მომდევნო მატჩში გამოასწოროს.

ბაჩო სვანიძე

20 წელი: ყველა და ყველაზე

ევროპის ერთა თასზე წლეულს 12 ახალბედამ ითამაშა და ჩვენი ნაკრების 20 წლიან და 102 მატჩიან მატიანეში ბორჯღალოსანთა რაოდენობამ 183 მორაგბეს უწია.

20 წლის მანძილზე ჩვენებს 18 კაცმა უკაპიტნა, მათ შორის პალიკო ჯიმშელაძემ, ვისაც შარშანდელი მსოფლიოს თასის აქეთ ნაკრებში აღარ უთამაშია, მაგრამ მექულეებს იგი ისევ უსტაბაშობს. პალიკო ჯიმშელაძე ოფიციალურად ჯერ არა, მაგრამ პრაქტიკულად გამოეთხოვა ნაკრებს. სხვათა შორის, საუკეთესო კეპოსანიც ჯიმშელაძეა, მაგრამ როგორც მექულეებში, ასევე კეპებში ალბათ მალე მალხაზ ურჯუკაშვილი გადაასწრებს, რომელსაც ნაკრებს მწვრთნელი ტიმ ლეინი სამომავლოდ საკვანძო მოთამაშედ მიიაჩნევს.

ურჯუკაშვილი ჯერჯერობით მხოლოდ მელელოვეთა ამქარს ლიდერობს, თუმც ესპანეთთან გატანილი სამი ლელოთი, მას მამუკა გორგოძე დაეწია. ილია ზედგინიძემ კი იცით, კარიერა მსოფლიოს თასის შემდეგ დაასრულა.

102 მატჩიან მატიანეში საქართველოს ნაკრებმა სარეკორდოდ შარშან თბილისში მოიგო, როდესაც ჩეხეთი 98:3 დამარცხდა. ჩვენებმა 16 ლელო და 9 გარდასახვა დააასტყვეს ჩეხეთს. მაშინ ქართველებმა კინკილა ჯარიმაც კი არ დაარტყეს კარში, თორემ 100 ქულიან ზღვარსაც გადასცდებოდნენ.

ბაჩო სვანიძე

სულ: 102 თამაში (38 შინ, 48 სტუმრად, 16 ნეიტრალური)
61 მოგება, 37 წაგება, 4 ფრე
ბურთები 2254:1912 (+414); ლელოები 289:111 (+78)
სულ: ითამაშა 183 მორაგბემ

ყველაზე მეტი მატჩი

პალიკო ჯიმშელაძე	57
მალხაზ ურჯუკაშვილი	56
ბესიკ ხამაშურიძე	53
ირაკლი აბუსერიძე	53
აქვსენტი გიორგაძე	51

მელელოვეები

მალხაზ ურჯუკაშვილი	15
ილია ზედგინიძე	14
მამუკა გორგოძე	13
ბესიკ ხამაშურიძე	12
აქვსენტი გიორგაძე	11
თედო ზიბზიბაძე	11

მექულეები

პალიკო ჯიმშელაძე 320 (9 ლელო, 61 გარდასახვა, 48 საჯარიმო, 3 არეკნი)

მალხაზ ურჯუკაშვილი 274 (15 ლელო, 41 გარდასახვა, 38 საჯარიმო, 1 არეკნი)

ნუგზარ ძაგნიძე 105 (3 ლელო, 9 გარდასახვა, 22 საჯარიმო, 3 არეკნი)

მერაბ კვირიკაშვილი 99 (2 ლელო, 22 გარდასახვა, 14 საჯარიმო, 1 არეკნი)

კახა მაჩიტიძე 63 (2 ლელო, 10 გარდასახვა, 7 საჯარიმო, 4 არეკნი)

ყველა კაპიტანი: ილია ზედგინიძე (32 მატჩი), ლევან ცაბაძე (12), ზურაბ მჭედლიშვილი (12), დიმიტრი ობოლაძე (11), ირაკლი აბუსერიძე (9), ნუგზარ ძაგნიძე (7), ოლეგ ლიპარტელიანი (3, ნაკრების პირველი კაპიტანი), პალიკო ჯიმშელაძე (3), გია ლაბაძე (2), ვასილ კაცაძე (2), დავით ბოლღაშვილი (2), ალეკო ხვედელიძე (1), თამაზ ფხაკაძე (1), გია რაფავა (1), ვანო ნადირაძე (1), ბესიკ ხამაშურიძე (1), ვიქტორ დიდებულიძე 1), გოდერძი შველიძე (1)

სარეკორდო გამარჯვება

ევროპის ერთა თასი 2007-08
2007. 7 აპრილი. თბილისი
საქართველო 98:3 უკრაინა

უჩინარი დამჯილდოებელი...



როინ მარგიანი და მისი „ხედი“

ბადრი კეთილაძის ფოტო

თავისთავად უხმაურო, დაუყვედრებელი შეწევნა დიდი მადლია. მაგრამ, როდესაც საქმე სპორტულ ასპარეზობას ეხება, აქ ასეთი „თავმდაბლობა“ გაუმართლებელი უნდა იყოს. გუშინ დელისის იპოდრომის საკონკურო მოედანზე გამართულ ასპარეზობაზე მოგახსენებთ. გათამაშდა თბილისის მერიის თასი დაბრკოლებათა გადალახვაში. ერთჰიტიან კონკურში (სიმაღლე 120 სმ) გაიმარჯვა საქართველოს შს. ცხენოსანი ესკადრონის გამოცდილმა სპორტსმენმა როინ მარგიანმა (ცხენი „ხედი“), მეორე შედეგიც მისი იყო (ახალგაზრდა ენერგიული ულაყით — „ზეცა“), მესამე ადგილზე გავიდა როინის თანაგუნდელი გიორგი სამხარაძე („ელპერილი“), მეოთხე იყო ჭაბუკი გაგა თოხაძე („სულგრძელი“), რომელმაც ყველაზე სწრაფად კი იარა (53 წმ), მაგრამ 2 დაბრკოლება დაზიანა. მარგიანმა და სამხარაძემ თითო დაბრკოლება დაანგრიეს.

ასპარეზობის პირველი დღე სასიამოვნო მოულოდნელობით აღინიშნა: „გახსნის პრიზი“ (110 სმ) სწორედ თოხაძემ მოიგო. მან უჯარიმოდ იარა (54. 34 წმ) და ასევე უჯარიმოებს — ვანო ნორაკიძეს („ერისი“) და ზაზა ჩიტრეკაშვილს („ალი“) სისწრაფით ავჯობა. ბოლო ბარიერი დააზიანა შალვა გაჩეჩილაძემ („გედი“) — IV ადგილი.

ცხენოსნობის მოყვარულები ამ მოკლე მიმოხილვითაც მიხვდებოდნენ, რომ შეჯიბრებები რთული არ ყოფილა („იოლ“ და „ძნელ“ C კლასს განეკუთვნებოდნენ), მაგრამ მისაფუჩეჩებლად მაინც არ უნდა გავიმეტოთ. დიახ, ნუ გვეწყინება ამ სიტყვით მოხსენიება. ცხადია, ავჯობდა, რომ უშუალოდ მერიის სპეციალურ სამსახურს დაეჯილდოებინა მხედრები, მათი მწვრთნელები, ისინი, თავიანთ კარგად მოვლილ ბედაურებთან ერთად, ამას ნამდვილად იმსახურებენ.

ისიც ხომ ვიცით, რომ ქალაქის მერიას, ყოველ შემთხვევაში მის ცალკეულ წარმომადგენლებს, მეტნაკლებად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ჰქონდათ დელისის იპოდრომის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. საარჩევნო მოძრაობაშიც გახმინდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, თანდათან მიჩუმდა იმ მნიშვნელობაზე ლაპარაკი, რომელიც დელისის იპოდრომისთვის („ცხენთსარბიელისათვის“) არსებითია. ეს გახლავთ საქართველოში საცხენოსნო სპორტის განვითარება, პოპულარიზაცია, ცხენთგამოცდის სრულფასოვანი ბაზის არსებობა. ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა დღეისთვის ასეთი ერთადერთი სრულფასოვანი კერის მოშლის წინაშე დგას. ეს ნამდვილად არ დაუმსახურებია ამ დარგს. აი, ესაა გასათვალისწინებელი და განსასჯელი, ცალკეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით კი ამ ცხენოსნური კვანძის გახსნა საბოლოო შედეგამდე მიგვიყვანს.

ნოდარ ებრალიძე

ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

IX ტური

ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	1:0	ერნესტო ინარკიევი (რუსეთი)
თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი)	1:0	გატა კამსკი (აშშ)
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	1:0	პიოტრ სვიდლერი (რუსეთი)
ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	0,5:0,5	ვან იუე (ჩინეთი)
სერგეი კარიაკინი (უკრაინა)	0,5:0,5	მაგნუს კასრლსენი (ნორვეგია)
ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი)	0,5:0,5	ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი)
დავიდ ნავარა (ჩეხეთი)	0:1	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)

1. ალექსანდრ გრიშჩუკი	6
2. ვან იუე	5,5
3. ვუგარ გაშიმოვი	5,5
4. თეიმურ რაჯაბოვი	5
5. მაგნუს კარლსენი	5
6. შაჰრიარ მამედიაროვი	5
7. მაიკლ ადამსი	5
8. გატა კამსკი	4,5
9. ეტიენ ბაკრო	4,5
10. პიოტრ სვიდლერი	4
11. სერგეი კარიაკინი	4
12. ივან ჩეპარინოვი	3,5
13. ერნესტო ინარკიევი	3
14. დავიდ ნავარა	2,5

გრიშჩუკმა ტრიუმფირატი დაამხო

ზედიზედ ხუთი ყაიმის შემდეგ ალექსანდრ გრიშჩუკმა თანამემამულე ერნესტო ინარკიევი დამარცხა და ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა. მეექვსე ტურიდან შეჯიბრზე სამხელისუფლიანობა სუფევდა, თუმც მეცხრე ტურში გრიშჩუკის კონკურენტებმა ნახევარ-ნახევარი ქულა დაკარგეს და პირველობაც რუსს დაუთმეს.

გრიშჩუკმა დებიუტში ძველინდური დაცვა გაითამაშა, მარჯვენა ფლანგი გააძლიერა და როქი გაკეთა. მე-16 სვლაზე მან ლაზიერი გაუცვალა მეტოქეს, უკნიდან ეტლები მიახმარა და სისხლისღვრაც დაიწყო. ინარკიევმა ძალები მეფის დასაცავად გადმოსხა, მაგრამ თეთრების აგრესია ვერ შეაჩერა და 46-ე სვლაზე ალამი დაუშვა.

72 სვლა იბრძოლა ვან იუემ, თუმც ეტიენ ბაკრო ვერ გატეხა და მეორეზე ჩამოქვეითდა.

ლაზა გეგეჭკორი

უვიდ-უვიდი და თავუიც უვიდი

ლევან ფანცულაია უკვე ქულით ჩამორჩა ლიდერებს და საჩემპიონო შანსიც შეიმცირა. მეცხრე ტურში იგი შავი ფიგურებით უკრაინელ ვლადიმირ ბაკლანთან 46-ე სვლაზე დამარცხდა და 22-ე ადგილამდე ჩავიდა. პირველზე კი ერთბაშად 7-7 ქულით 7 მოჭადრაკეა მოკალათებული.

ექვსი ქულა აქვს მიხეილ მჭედლიშვილსაც და დამატებითი მაჩვენებლებით 35-ე ადგილზე იმყოფება. ჩვენებური შავი ფიგურებით ჰოლანდიელ იან ვერლეს შეხვდა და 53-ე სვლაზე დააშამათა.

წარუმატებლად ითამაშეს ქალებმა. ჩვენს მოწინავე გოგონებს პირველი ადგილოსნებისგან მთელი ქულა აშორებთ. ნანა ძაგნიძეს, სალომე მელიას, მაია ლომინეიშვილს და სოფო ნიკოლაძეს 6-6 ქულა აქვთ და ჩემპიონობის მცირე შანსს კვლავაც ინარჩუნებენ.

ლაზა გეგეჭკორი

მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-5 მაისი

მეოთხედფინალი

სტივ ჰენდრი (შოტლანდია) — რაიან დეი (უელსი) 13:6; რონი ოსალივანი (ინგლისი) — ლიან ვენბუ (ჩინეთი) 13:7; ალისტერ კარტერი (ინგლისი) — ანტონი ებდონი (ინგლისი) 13:9; ჯო პერი (ინგლისი) — სტივ მაგუაერი (შოტლანდია) 13:12

ნახევარფინალში ოცნებაც კარგია



ჯო პერი

შეფილდში, სნუკერისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალური მატჩები დასრულდა და ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობა გაირკვა.

დავიწყოთ იმით, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე მთავარ ფავორიტებად მიჩნეული ხუთეულიდან, ნახევარფინალს მხოლოდ ერთმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა რონი ოსალივანმა უწია. მარკ სელბი პირველივე წრეში დამარცხდა, მეორე წრეში მისი ბედი დინ ჯუნხუმ და შონ მერფიმ გაიზიარეს, მეოთხედფინალში კი წლეულს ორი სარეიტინგო ტურნირის მომგები სტივ მაგუაერიც დაეცა.

მაგუაერი ჯო პერის თავიდანვე 0:4 ჩამორჩა, თუმც შემდეგ სქოთმა მიყოლებით ოთხი ფრეიმი მოიგო, ანგარიში გაათანაბრა და შემდეგ კი მატჩი ასე, ქულა-ქულაში გაგრძელდა, 25-ე ფრეიმამდე მივიდა და ბოლო პარტიაში კი მაინც პერიმ იძალა.

ახლა პერი დიდებულად მოთამაშე ალისტერ კარტერს შეხვდება, რომელმაც ნახევარფინალისკენ სავალ გზაზე ორი ექს-ჩემპიონი, შონ მერფი და პიტერ ებდონი ჩამოიცილა და თანაც, ებდონთან მეოთხედფინალურ მატჩში კარიერაში პირველად გააკეთა მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი.

მეორე ნახევარფინალი კი ოცნების მატჩად შეგვიძლია მოვნათლოდ — სნუკერის ჯადოქარი, „რაკეტად“ წოდებული რონი ოსალივანი თანამედროვეობის ყველაზე ტიტულოვან მოთამაშეს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ სტივ ჰენდრის დაუპირისპირდება.

ამ ეტაპამდე ორივემ შთამბეჭდავად იარა — ჰენდრიმ დინ ჯუნხუს ძლევის შემდეგ არც მშვენიერ ფორმაში მყოფ რაიან დეის დაუტოვა შანსი, ხოლო ოსალივანმა მარკ უილიამსთან მატჩში გაკეთებული 147-ქულიანი ბრეიკის მერე, ჩინელ ლიან ვენბოსთან თავიდან უფერულად კი დაიწყო, მაგრამ მალევე გამოასწორა მდგომარეობა და შეფილდში გვარიანი სენსაციების მომხდენი მეტოქე სტატისტად აქცია.

ტატიშვილის წარმატებული სტარტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, შარლოტსვილის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 50-ათასიანი ტურნირი ტარდება და ანა ტატიშვილმა უპრობლემოდ დაძლია პირველი ბარიერი.

მე-7 ნომრად განთსილ 25 წლის ავსტრალიელ მონიკა ადამჩაკს, ვისაც WTA-ს რეიტინგში 165-ე პოზიცია უკავია, ქართველმა ჩოგბურთელმა 6:2 6:1 მოუგო. მეორე წრეში ანა 24 წლისა და კლასიფიკაციის 169-ე საფეხურზე მყოფ სამხრეთ აფრიკელ შანელ სხეეპერსს შეხვდება, რომელმაც საწყის ეტაპზე 6:0 6:1 გაანადგურა ამერიკელი ნიკოლ ლიმბახი.

ჰლეი ოფი მეორე წრე

30 აპრილი

ფილადელფია 4:2 მონრეალი

0:0 1:0 3:2

სერია ფილადელფიას მიჰყავს 3:1

1:0 ამბერგერი (28, უმრ. ბრიარი), 2:0 ჰარტნელი (47, პროსპალი), 2:1 პლეკანეცი (53, ჯორჯესი, ბუილონი), 2:2 კოივუ (54, შტრაიტი, ბუილონი), 3:2 ბრიარი (57, უმრ. კნუბლი, პროსპალი), 4:2 ამბერგერი (60, ცარ. კარში, კარტერი)

დალასი 1:2 სან ხოსე

0:0 1:1 0:1

სერია დალასს მიჰყავს 3:1

1:0 ლეჰტინენი (26, უასისტენტოდ), 1:1 მარლო (30, უმც. უასისტენტოდ), 1:2 მიხალეკი (44, უმრ. ტორნტონი, კემპბელი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარეჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge